



მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის
შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

მთავარი დოკუმენტი: კონცეფციის პროექტი

Empowering
the Change

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(მთავარი დოკუმენტი: კონცეფციის პროექტი)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ“ (ACT).

პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი

მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩობანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

1. შესავალი	10
1.1. დოკუმენტის შემუშავების საჭიროება	10
1.2. დოკუმენტის შემუშავების პროცესი და ჩართული მხარეები	12
1.3. პროექტის ფარგლებში გამართული კონსულტაციები და მათი შედეგები	12
1.4. მეთევზეობის განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტები	13
2. სიტუაციის ანალიზი	17
2.1. სიტუაციის ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია	17
2.2. სექტორში გატარებული რეფორმები/აქტივობები და სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში აღებული ვალდებულებები	18
2.3. ძირითადი პრობლემების ანალიზი	27
3. ძირითადი ნაწილი	35
3.1. ხედვა იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაწყვეტად	35
3.2. მდგრადი მეთევზეობის განვითარების პრინციპები	36
3.3. სამოქმედო პრიორიტეტების განსაზღვრა.....	37
3.4. ინფორმაცია კონცეფციის განხორციელების, პასუხისმგებელი უწყებების ვალდებულებებისა და სამომავლო ნაბიჯების შესახებ.....	43
3.5. ინფორმაცია განხორციელების ვადებთან დაკავშირებით.....	43

აბრევიატურები და განმარტებები

აბრევიატურები:	
გზდ	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სსდ	სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ACT	„ეისითი“, კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია
BDD	ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
CBD	ბიომრავალფეროვნების კონვენცია
CITES	კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება
FAO	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაცია
GBF	გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩო
GFCM	ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია
IUU	არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი
NBSAP	ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა
NEAP	გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა
RFMO	თევზჭერის რეგიონალური მართვის ორგანიზაცია
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
Sida	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)
UNCLOS	გაეროს კონვენცია ზღვის კანონის შესახებ

განმარტებები:		
თევზი	წყლის ხერხემლიანი ცხოველები, რომელთაც არა აქვთ სხეულის მუდმივი ტემპერატურა, აგრეთვე კიბოსნაირები და მოლუსკები.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
ჰიდრობიონტი	წყლის ცოცხალი ორგანიზმი (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარე, წყალში მობინადრე სხვა ცოცხალი ორგანიზმი).	განმარტების წყარო: საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ (2020).

მეთევზეობა	წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის, ტერმინი „მეთევზეობა“ მოიცავს როგორც თევზჭერას, ასევე აკვაკულტურას.	
თევზჭერა	თევზჭერად ითვლება თევზის, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების მიზნით შესაბამის წყლის ობიექტში (მათ შორის, საქართველოს შავ ზღვაში) თევზსაჭერი ან თევზსარეწი იარაღით, მოწყობილობით ან/და სხვა ხერხებითა და საშუალებებით განხორციელებული ქმედება. თევზჭერა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იყოფა სახეებად. იგი მოიცავს აგრეთვე სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერას (წყალქვეშა ნადირობის ჩათვლით).	განმარტების წყარო: საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996) .
სამრეწველო თევზჭერა	წარმოადგენს სარეწაო მიზნით შავ ზღვაში ნაპირიდან არა უმცირეს სამასი მეტრის დაშორებით თევზის მოპოვებას.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე .
სამოყვარულო და სპორტული თევზჭერა	არალიცენზირებადი თევზჭერა ყველა სისტემის და დასახელების ხელის ანკესით, სასროლი ბადით, ხოლიხი ბადითა და ჩოგანბადით, ასევე, წყალქვეშა ნადირობა და ჰიდრობიონტების შეგროვება, აკვალანგებისა და სხვა ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობების გარეშე.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე .
რეკრეაციული თევზჭერა	სპორტული თევზჭერის ერთ-ერთი სახე (მათ შორის საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ კალმასზე), თევზჭერის ობიექტის გარემოდან ამოღების გარეშე.	განმარტების წყარო: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 მაისის ბრძანება №13 რეკრეაციული თევზჭერის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ
სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა	სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს	განმარტების წყარო:

	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები თევზჭერის წესებთან, ვადებთან, ადგილებთან, მოსაპოვებელ სახეობებთან და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.	საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 17 ოქტომბრის ბრძანება №21 სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესის დამტკიცების შესახებ
სანაპირო თევზჭერა	თევზის მოპოვება შავ ზღვაში, ნაპირიდან არაუმეტეს ერთი საზღვაო მილის (1 852 მეტრი) დაშორებით. სანაპირო თევზჭერისას თევზის მოპოვება ნაპირიდან არაუმეტეს 300 მეტრის დაშორების მონაკვეთში შესაძლებელია ნებისმიერი, კანონმდებლობით ნებადართული სარეწი იარაღით, ხოლო 300 მეტრიდან ერთ საზღვაო მილამდე დაშორების მონაკვეთში - პარაშუტისებრი ბადით ან 300 მეტრამდე სიგრძის სახლართი ტიპის ბადით. სანაპირო თევზჭერა ნებადართულია მხოლოდ 8 მეტრამდე სიგრძის წყლის მცურავი სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით ან უამისოდ.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
შიდა წყალსატევებში თევზჭერა	სარეწაო თევზის მოპოვება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და გამავალ მდინარეებში, ტბებში, წყალსაცავებში, სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ ზედაპირულ წყალსატევებში.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
აკვაკულტურა	წყლის ცოცხალი ორგანიზმის (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარე) ისეთი საშუალებების გამოყენებით მოშენება (კულტივირება, გამოზრდა, გამრავლება), რომელთა მიზანია ამ ორგანიზმის წარმოების გაზრდა გარემოს ბუნებრივი შესაძლებლობების მიღმა. ეს ორგანიზმი ერთი ან ერთზე მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში რჩება მთელი პერიოდის განმავლობაში – გამოზრდიდან პროდუქციის მიღების ჩათვლით. წყლის ცოცხალი ორგანიზმის მოშენება გულისხმობს ამ ორგანიზმის გაზრდის ორგანიზებულ პროცესს, მათ შორის, მის გამრავლებას ან რეგულარულ შენახვასა და კვებას ან/და მტაცებლისგან ან	განმარტების წყარო: საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ (2020).

	სხვა, მსგავსი ჩარევისგან დაცვას აღნიშნული ორგანიზმის ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.	
ექსტენსიური აკვაკულტურა	ბუნებრივი წყალსატევის (ტბა, მდინარე, წყალჭაობიანი ადგილი და სხვა) ან ხელოვნური წყალსატევის (წყალსაცავი, ზოგიერთი არხი და სხვა წყალსატევი, გარდა აკვაკულტურის კონსტრუქციისა) ხელოვნურად გამრავლებული ქვირითით, ლარვით, ლიფსიტითა და ახალმოზარდულით ბუნებრივი საკვები ბაზის ხარჯზე დათევზიანება, ამ წყალსატევეში არსებული ბუნებრივი თევზის რესურსის აღწარმოების ხელშეწყობა და შემდგომ მისი ზრდის შედეგად თევზჭერა.	განმარტების წყარო: საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ (2020)
მარიკულტურა	აკვაკულტურა საზღვაო წყლებში.	განმარტების წყარო: საქართველოს კანონი აკვაკულტურის შესახებ (2020)
თანჭერილი	თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებულ თევზის სახეობებთან ერთად თევზსაჭერ იარაღებში მოხვედრილი არასარეწი ზომის და სხვა სახეობის თევზები (სხვა ჰიდრობიონტები).	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
ნათხარები	პალიასტომის ტბის სამხრეთით არსებული ტბის მოსაზღვრე წყლის სივრცე (ხელოვნური წყალსატევი), რომელიც წარმოქმნილია წარსულში ტორფის კარიერული დამუშავებისა და გამომტანი არხების გათხრის შედეგად და ამჟამად წარმოადგენს პალიასტომის ტბის ერთგვარ უბეს.	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.
არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერა	<u>თევზჭერა, რომელიც არალეგალურია, არადეკლარირებული და დაურეგულირებელია, კერძოდ:</u> ა) არალეგალური თევზჭერა: ა.ა) საქართველოს ან უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების მიერ, უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ საზღვაო	განმარტების წყარო: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური

	<p>წყლებში განხორციელებული უნებართვო თევზჭერა ან/და უცხო სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ არსებულ საზღვაო წყლებში თევზჭერისათვის დადგენილი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევა;</p> <p>ა.ბ) თევზჭერა განხორციელებული იმ თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების მიერ, რომლებიც დაცურავენ იმ სახელმწიფოს დროშის ქვეშ, რომელიც არის შესაბამისი თევზჭერის მართვის რეგიონული ორგანიზაციის მხარე, მაგრამ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება კონსერვაციისა და მართვის იმ ზომებს, რომლებიც დამტკიცებულია ამ ორგანიზაციის მიერ და რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა ან ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის შესაბამის ნორმებს; ან</p> <p>ა.გ) თევზჭერა, რომელიც განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის ან საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების (მათ შორის, რომელიც აღებულია შესაბამისი თევზჭერის მართვის რეგიონული ორგანიზაციის ფარგლებში) დარღვევით;</p> <p>ბ) არადეკლარირებული თევზჭერა:</p> <p>ბ.ა) არადეკლარირებული თევზჭერა – თევზჭერა, რომელიც არ არის დეკლარირებული ან დეკლარირებულია დადგენილი წესების დარღვევით;</p> <p>ბ.ბ) თევზჭერა, განხორციელებული იმ ტერიტორიაზე, რომელიც შედის შესაბამისი რეგიონული თევზჭერის მართვის ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, რომლის თაობაზეც არ გაკეთებულა დეკლარირება, ან დეკლარირება გაკეთდა ამ ორგანიზაციის დეკლარირების წესების დარღვევით;</p> <p>გ) დაურეგულირებელი თევზჭერა:</p> <p>გ.ა) თევზჭერა, რომელიც განხორციელებულია შესაბამისი რეგიონული თევზჭერის მართვის ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიაზე იმ თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ ეროვნული დროშა ან</p>	<p>რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.</p>
--	---	---

	<p>დაცურავენ იმ ქვეყნის დროშის ქვეშ, რომელიც არ არის ამ ორგანიზაციის წევრი, ან თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემის მიერ იმგვარად, რომ ეს ეწინააღმდეგება ამ ორგანიზაციის კონსერვაციისა და მართვის ზომებს;</p> <p>გ.ბ) თევზჭერა განხორციელებული იმ ტერიტორიაზე ან იმ სახეობის თევზთან მიმართებით, რომლებთან დაკავშირებით არ არის დადგენილი კონსერვაციისა და მართვის ზომები და სადაც თევზჭერა ხორციელდება საერთაშორისო სამართლით ზღვის ცოცხალი ორგანიზმების კონსერვაციის მიზნით სახელმწიფოს მიერ აღებული პასუხისმგებლობის საწინააღმდეგოდ.</p>	
--	---	--

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის პროექტი

1. შესავალი

1.1. დოკუმენტის შემუშავების საჭიროება

საქართველო მდიდარია წყლის ბიოლოგიური რესურსებით. შავი ზღვა და შიდა წყალსატევების (მდინარეები, ტბები, ხელოვნური წყალსაცავები) მჭიდრო ქსელი ქმნის ხელსაყრელ პირობებს თევზჭერის მდგრადი განვითარებისთვის. თუმცა, შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში ხდება თევზჭერისათვის მნიშვნელოვანი სახეობების მრავალფეროვნებისა და ბიომასის შემცირება, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია თევზის რესურსების გადაჭარბებული მოპოვებით, წყლის დაბინძურებით, ევტროფიკაციით, ინვაზიური სახეობების გავრცელებით და კლიმატის ცვლილების ზეგავლენით ზღვისა და შიდა წყლების ეკოსისტემებზე. ეს კი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას თევზჭერის სექტორისათვის¹.

წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაცია და მდგრადი მართვა კომპლექსური საკითხია, რომელიც მოიცავს მრავალ სხვადასხვა მიმართულებას, თუმცა, საქართველოში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სექტორის განვითარების ერთიანი ხედვა. ქვეყანაში ნაკლებად ხდება თევზისა და წყლის სხვა რესურსების რეწვის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარება. სათანადოდ არ არის შეფასებული წყლის ცოცხალი რესურსების როლი და წილი სასურსათო უსაფრთხოებასა და მოსახლეობის სოციალური საჭიროებებისათვის. მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს წყლის ცოცხალი რესურსების, გადაშენების პირას მყოფი თევზების დაცვისა და შენარჩუნების კუთხით.

საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებებით, მათ შორის, [საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით](#) (2014), საქართველოს განსაზღვრული აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები თევზის რესურსების გრძელვადიანი შენარჩუნებისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფისათვის ეკოსისტემური მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს თევზჭერის კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას, თევზჭერის მონაცემთა შეგროვებას და გაცვლას, თევზჭერის მართვის რეგიონულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების გამოყენებას, თევზჭერის მართვის გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას². ევროკავშირის მოთხოვნები თევზჭერის რეგულირების, წყლის ცოცხალი რესურსების დაცვისა და შენარჩუნების კუთხით არის გაცილებით უფრო კომპლექსური და ყოვლისმომცველი, ვიდრე ამას ითვალისწინებს საქართველოში დღეისათვის მოქმედი მიდგომები, ადმინისტრაციული და ტექნიკური ინსტრუმენტები. ეს განსაკუთრებით ეხება

¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2019). “2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება”.

<https://eiec.gov.ge/Ge/NationalReports>

² საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2023). “2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება”.

<https://eiec.gov.ge/Ge/NationalReports>

თევზჭერის სექტორის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებისა და წყლის რესურსების მდგომარეობის შეფასებას, ასევე თევზჭერისა და აკვაკულტურის პროდუქტების ბაზრის ორგანიზებას სასურსათო უსაფრთხოების კუთხით, თევზჭერის ფლოტის განვითარებისა და მართვის, მონიტორინგისა და მონაცემთა წარმოების, თევზჭერის კონტროლსა და კანონალსრულების საკითხებს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება სწორედ მდგრად თევზჭერასა და წყლის ცოცხალი რესურსების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ამოცანების გადაწყვეტა, რაც უნდა დაეფუძნოს სექტორის მდგრადი განვითარების ერთიან და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზებულ პოლიტიკას.

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, თევზჭერის მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ბაზა სრულად არ ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს მეთევზეობის მდგრადი განვითარებისათვის, მათ შორის, ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და რეკომენდაციებს. სექტორის ერთიანი მიდგომებით მართვისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ისიც, რომ არაერთგვაროვანია ქვეყანაში წყლის ცოცხალი რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის სამართლებრივი მოწესრიგება. 2020 წელს [„აკვაკულტურის შესახებ“ კანონის](#) მიღებით მნიშვნელოვანწილად მოწესრიგდა აკვაკულტურის დარგის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, შიდა წყალსატევებში თევზის მეურნეობების განვითარების მიმართულება. თუმცა, განახლებას საჭიროებს შავ ზღვაში სამრეწველო და სანაპირო თევზჭერის, ასევე შიდა წყლებში თევზჭერის ზოგიერთი სახეობის, მათ შორის, სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის და სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობა. თევზჭერის მთელი რიგი ასპექტები არის დარჩენილი მარეგულირებელი ჩარჩოს მიღმა ან საჭიროებს რეგულირების ოპტიმიზაციას, რაც, თავის მხრივ, უნდა დაეფუძნოს თევზჭერის სექტორის განვითარების ერთიან კონცეფციას.

საქართველოში თევზჭერის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მისი შესრულების მონიტორინგი, ასევე მეთევზეობის დარგის მართვა და განვითარების ხელშეწყობა განეკუთვნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ამოცანებს³. მეთევზეობის დარგის (მათ შორის თევზჭერის და აკვაკულტურის) სხვადასხვა მიმართულებების პოლიტიკის განსაზღვრა, მართვა, ადმინისტრირება, მონიტორინგი, კონტროლი და კანონ-აღსრულება განეკუთვნება როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე სხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების კომპეტენციებს. დღეისათვის არსებობს აღნიშნულ სამთავრობო უწყებებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების უფრო მკაფიოდ განაწილების, ასევე, მათ შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის/მონაცემების უწყვეტი გაცვლის სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება.

³ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის დადგენილება №112 “საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ”.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4093329?publication=16>

წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაცია და მართვა, თევზჭერა და აკვაკულტურის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებებია და მნიშვნელოვანია იმართებოდეს ერთიანი პოლიტიკის შესაბამისად. ჯეროვან ყურადღებას საჭიროებს ასევე მიკვლევადობის, ბაზრის განვითარებისა და მარკეტინგის, კონტროლის, მონიტორინგის სისტემების განვითარების საკითხები.

ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი პოლიტიკური, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ზომების მიღების აუცილებლობა ეროვნულ დონეზე, არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ხარვეზები განაპირობებს თევზჭერის, როგორც დარგის განვითარების შემდგომ პერსპექტივაზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებისა და მდგრადი თევზჭერის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის არსებობის საჭიროებას. პოლიტიკის დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს სექტორის ყოველმხრივი და სრულფასოვანი გზების და მიმართულებების განსაზღვრა, რაც უზრუნველყოფს თევზჭერის სექტორის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობას. იგი ასევე იქნება თევზჭერის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის, ასევე შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნის საფუძველი.

1.2. დოკუმენტის შემუშავების პროცესი და ჩართული მხარეები

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის ნოემბრამდე კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“ (ACT), დარგობრივი ექსპერტების ჩართულობით, ახორციელებდა მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის პროექტის შემუშავების მიზნით კვლევით მომსახურებას. პროექტის დამფინანსებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში.

მდგრადი მეთევზეობის კონცეფციის წინამდებარე დოკუმენტი მეთოდოლოგიურად ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, კერძოდ, [საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებას „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“](#). კონცეფცია შემუშავებულია აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული სტრუქტურის შესაბამისად.

1.3. პროექტის ფარგლებში გამართული კონსულტაციები და მათი შედეგები

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით „ეისითიმ“ ჩატარა მრავალმხრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული კვლევის მეთოდებს (კვლევის მეთოდოლოგია დეტალურად წარმოდგენილია [დანართი 1-ში](#)). პირველადი კვლევის ფარგლებში ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრესთან. ჩატარებული კონსულტაციები მიზნად ისახავდა: (ა) კვლევითი გუნდის უზრუნველყოფას ანალიზისთვის საჭირო მონაცემებით; (ბ) ფართო საზოგადოების ჩართულობას და მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფას ისეთ მნიშვნელოვან, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე მუშაობის დროს, როგორც არის მეთევზეობის დარგობრივი კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კონსულტაციები ჩატარდა 2024 წლის იანვარი-თებერვლის და შემდგომ ივლისის პერიოდში შემდეგი ორი სახით:

- i. ჩადრმავებული/სიღრმისეული ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან. კვლევის პროცესში მოხდა ათეულობით მხარესთან (ორგანიზაციები, დეპარტამენტები, უწყებები, ბიზნესები) დაკავშირება სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების მიზნით. საბოლოოდ, ინტერვიუ შედგა 29 სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთან, ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღო 39-მა რესპონდენტმა და ჯამურად ინტერვიუების რაოდენობამ შეადგინა 34. ინტერვიუებში მონაწილე მხარეების შესახებ ინფორმაცია, მათთან შეხვედრის დრო, ისევე როგორც ჩატარებული კვლევის შედეგები (ინტერვიუების მოკლე შეჯამებები) დეტალურად ასახულია **დანართი 2-ში**.
- ii. გამოკითხვა მეთევზეებსა და თევზჭერის სფეროში ჩართულ მეწარმეებთან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 73-მა პირმა. კვლევის მონაწილეები იყვნენ როგორც ინდემწარმეები (ფიზიკური პირები), ასევე კომპანიები (იურიდიული პირები). მონაწილეებს შორის იყვნენ მცირე ბიზნესის სტატუსის, ასევე საშუალო და მსხვილი ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმეები. ჩატარებული კვლევის შედეგები (გამოკითხვაში მიღებული პასუხების ანალიზი) დეტალურად წარმოდგენილია **დანართი 3-ში**.

გარდა ზემოაღნიშნული ინტერვიუებისა, 2024 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში დამატებით გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ინიცირებითა და ჩართულობით. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უშუალოდ სამინისტროსა და Sida-ს წარმომადგენლები, „ეისითი“ და მოწვეული ექსპერტები, ასევე, მეთევზეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, აღსრულებისა და კონტროლის განმახორციელებელი სხვა უწყებების წარმომადგენლები.

1.4. მეთევზეობის განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტები

დღეისათვის საქართველოში არც ერთი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული მეთევზეობის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს თევზის რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის ყველა მიმართულებას. თევზჭერის საკითხები გარკვეულწილად ასახულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ რამდენიმე სტრატეგიულ დოკუმენტში.

[2021-2027 წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის](#) თანახმად⁴, თევზის მოშენება და მისი პროდუქტების მიღება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ან ბუნებრივ გარემოში განიხილება, როგორც სოფლის მეურნეობის ნაწილი ევროპული კლასიფიკატორის [NACE Rev.2](#)-ის შესაბამისად, რასაც ასევე იყენებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური („საქსტატი“). თუმცა, დოკუმენტით არ არის შეფასებული თევზჭერისა და თევზის მოშენების, როგორც ცალკე აღებული სექტორის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და როლი დასაქმებასა და სასურსათო უსაფრთხოებაში. დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

⁴ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2019). „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027“.

<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>

მხოლოდ ირიბად ეხება თევზჭერის სექტორს და არ აყალიბებს დარგის განვითარების პრიორიტეტებს. აღნიშნულ სექტორთან დაკავშირებით სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სულ რამდენიმე ქმედება ეხება თევზჭერის საკითხებს. მათ შორის, დაგეგმილი იყო თევზის ადგილობრივი სახეობების კვლევა და პოპულაციების აღდგენის ხელშეწყობა (აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ამოცანის ფარგლებში), ასევე თევზის ფქვილის ნიმუშების კვლევა (ცხოველთა ვეტერინარული კონტროლის განხორციელების ამოცანის ფარგლებში).

2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)⁵ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მდგრადი თევზჭერის და თევზის რესურსების დაცვის საკითხებს. აღნიშნული თემები განხილულია დოკუმენტის ორ ნაწილში:

(i) შავი ზღვის დაცვა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის ხელშეწყობა; (ii) ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები. დოკუმენტში გამოკვეთილია შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში მდგრადი თევზჭერის უზრუნველყოფასთან, ასევე, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კონსერვაციასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა თევზის კომერციული სახეობებისა და მათი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირება შავ ზღვაში, უცხო სახეობების გავრცელება, წყლის დაბინძურება, დაურეგულირებელი სანაპირო თევზჭერა, ასევე გამომწვევი მიზეზები, როგორცაა, მაგალითად, თევზის რესურსების დაცვასა და მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის განახლების საჭიროება, რაც ძირითადად ეხება შავ ზღვაში თევზჭერის რეგულირებას. გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად, NEAP 4-ით დასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები (ასევე სამიზნე ინდიკატორები) მდგრადი თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის უზრუნველსაყოფად:

- მდგრადი თევზჭერის განვითარების ეროვნული კონცეფციის მომზადება;
- საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება საერთაშორისო შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად;
- ბალასტური წყლებიდან ახალი უცხო სახეობების გავრცელების პრევენცია (ბალასტური წყლების ლაბორატორიის შექმნა წყლის უცხო მავნე ორგანიზმებისა და პათოგენების რაოდენობრივი ანალიზის მიზნით);
- მდგრადი სანაპირო თევზჭერის ხელშეწყობა (სანაპირო თევზჭერის მცურავი საშუალებების რეგისტრაციის და ჭერილის აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნების დაწესება; გზდ-ის შესაძლებლობების გაძლიერება, ცნობიერების ამაღლება მდგრადი თევზჭერის საკითხებზე);
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ზუთხისებრთა სახეობების კონსერვაციის ხელშეწყობა (მონიტორინგის პროგრამის დანერგვის საფუძველზე მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება);
- ზღვის აკვაულტურის განვითარების ხელშეწყობა (მარიკულტურის ზონების გამოყოფა, მართვის გეგმების და მონიტორინგის პროგრამების შემუშავება, ცნობიერების ამაღლება);
- შავი ზღვის ინტეგრირებული მონიტორინგის პროგრამის დანერგვა (4 ბიოლოგიური პარამეტრის დამატება, გარემოს ეროვნული სააგენტოს ტექნიკური გაძლიერება (მცურავი

⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2022). „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)“. <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>

საშუალების შექმნა), ადამიანური რესურსების გაძლიერება ვემაპისნაირთა პოპულაციებში სიკვდილიანობის მონიტორინგის მიზნით).

დოკუმენტით ასევე დაგეგმილია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა თევზჭერის, საზღვაო ბიოლოგიისა და მათემატიკური მოდელირების სფეროში და მეცნიერული პლატფორმის შექმნა აკადემიურ სექტორსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამით და მისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია პრიორიტეტული ამოცანები და შესაბამისი ქმედებები, აღნიშნულ დოკუმენტს ვერ განვიხილავთ, როგორც თევზჭერის დარგის ერთიან პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს თევზის რესურსის დაცვისა და მდგრადი თევზჭერის დარგის განვითარებისათვის საჭირო ყველა მიმართულებას. მეოთხე ეროვნული პროგრამით აღიარებულია კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საჭიროება, რომელსაც შემდგომში დაეფუძნება განახლებული საკანონმდებლო ბაზა.

თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის სფეროში გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამით, ასევე, სოფლისა და სოფლის მეურნეობის სტრატეგიით განსაზღვრული ზოგიერთი საკითხი ასევე ასახულია [2024-2027 წლებისთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების \(BDD\) დოკუმენტში](#)⁶, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს. BDD-ით განსაზღვრული საკითხები, ძირითადად, მოიცავს სათევზე მეურნეობების შემდგომ განვითარებას და პრიორიტეტული მოსაშენებელი სახეობების განსაზღვრას, თევზჭერის სტატისტიკური ანალიზის, ბიოლოგიური კვლევისა და მონიტორინგის განხორციელებასა და გარემოსდაცვითი სტატუსების განსაზღვრას; თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების კონსერვაციული სტატუსის შეფასებას; აკვაკულტურის, მარიკულტურისა და მდგრადი მეთევზეობის დანერგვის ხელშეწყობას. დამატებით, ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგია „[საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030](#)“⁷ ასახავს თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით ქვეყნის მთავარ პრიორიტეტებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ (ა) ჭარბი თევზჭერა მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს შავი ზღვის წყლის რესურსებისთვის; (ბ) სახეობათა არამდგრადი მოპოვება და ბრაკონიერობა როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ასევე მის გარეთ, ბიომრავალფეროვნების (მათ შორის, თევზის სახეობების) კარგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია. სტრატეგია აღწერს აკვაკულტურის განვითარებისთვის ძირითად მიმართულებებს, მათ შორის, შემდეგს: აკვაკულტურის განვითარებისათვის განხორციელდება ქვეყნის თევზის რესურსების ინვენტარიზაცია, განისაზღვრება პერსპექტიული თევზის სახეობებისა და თევზსამეურნეო დანიშნულების წყლის ფონდი, შეფასდება ქვეყნის თევზის რესურსების ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობა, შემუშავდება მდგომარეობის სამომავლო პროგნოზირების მეთოდოლოგია; დაინერგება ინდუსტრიული აკვაკულტურის ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ტექნოლოგიები და ქვეყნის იხტიოფაუნის რეკონსტრუქციის ხერხები და ექსტენსიური

⁶ საქართველოს მთავრობა (2023). “ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2024-2027 წლებისათვის”.

<https://www.mof.ge/5653>

⁷ საქართველოს მთავრობა (2023). “საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030”.

https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=428&info_id=85680

აკვაკულტურისათვის განკუთვნილი წყალსატევების პროდუქციული პროცესების ამაღლებისა და მდგრადი მართვის მეთოდები; შემუშავდება და დაინერგება ქვეყნის თევზის მეურნეობის მართვის რაციონალური სისტემები, მოხდება ქვეყნის თევზის მეურნეობის ტერიტორიულ-საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული [სტრატეგიის შესაბამის სამოქმედო გეგმაში](#) აღარ არის წარმოდგენილი თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარებისთვის კონკრეტული ღონისძიებები.

კიდევ ერთი სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია თევზჭერასა და თევზის რესურსების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები, ასევე, დასახულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ქმედებები არის [საქართველოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა \(NBSAP\)](#)⁸. NBSAP-ში ცალკე თავები ეძღვნება შიდა წყლების ეკოსისტემებსა და შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებას, რომლებშიც განხილულია თევზჭერასთან, ასევე თევზისა და ჰიდრობიონტების მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები. NBSAP-ით განსაზღვრული ერთ-ერთი ეროვნული მიზანი (B.5.) ეხება კონკრეტულად თევზჭერის სექტორს და ფორმულირებულია შემდეგი სახით: 2020 წლისთვის თევზჭერის და აკვაკულტურის ზეგავლენა თევზის მარაგებზე, ცალკეულ სახეობებსა და ეკოსისტემებზე არ სცდება ეკოლოგიურად უსაფრთხო ფარგლებს. NBSAP-ი თევზჭერისა სექტორის განვითარებისთვის ძირითად პრობლემად განიხილავს წყლების დაბინძურებას და ევტროფიკაციას, უკანონო და არამდგრად თევზჭერას, აკვაკულტურის სუსტ განვითარებას, ინვაზიურ სახეობებს, ბუნებრივი ეკოსისტემების მოდიფიკაციას, მონაცემების სიმწირეს თევზის რესურსების მდგრადი მართვისათვის, კვალიფიციური კადრების სიმწირეს. დოკუმენტით განსაზღვრულია ამოცანები და კონკრეტული ქმედებები აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მათ შორის:

- სარეწაო თევზჭერისას რესურსით სარგებლობის ეკოლოგიურად უსაფრთხო კვოტების განსაზღვრა და რესურსის დაცვის ეფექტიანი კონტროლი, სათანადო ინსტიტუციური და საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის გზით;
- აკვაკულტურის მართვის მდგრადი სისტემის (საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის) ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების მართვის დარგობრივი დაყოფის გადალახვას და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას ადგილზე ყველა შესაბამის სექტორს შორის ეფექტიანი კოორდინირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს [„აკვაკულტურის შესახებ“ კანონის](#) მიღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა NBSAP-ით განსაზღვრული ამოცანის გადასაჭრელად აკვაკულტურის მართვის მდგრადის სისტემის ჩამოყალიბების კუთხით. 2024 წელს დამტკიცდა [საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარების 2024-2028 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა](#)⁹.

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის დადგენილება №343 „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2342057?publication=0>

ბიომრავალფეროვნების დაცვის მესამე ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ჯერ არ დაწყებულა, ამიტომ წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ბიომრავალფეროვნების დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2020 წლებისათვის. (ავტორის შენიშვნა).

⁹ სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, საქართველოში გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)

წარმომადგენლობის მხარდაჭერით, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM)

სტრატეგიის მიზანია მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს აკვაკულტურის განვითარების საგზაო რუკის შედგენა. ამისათვის განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი აქტივობების კომპლექსი, რომლის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება საქართველოს აკვაკულტურის მდგრადი განვითარება. სტრატეგია ეხება როგორც შიდა წყლების, ასევე საზღვაო აკვაკულტურის განვითარებას. თუმცა, ისტორიისა და წინაპირობების გათვალისწინებით, მეტი ყურადღება ეთმობა მტკნარი წყლის აკვაკულტურის განვითარების საკითხებს. აკვაკულტურის მდგრადი განვითარების მიზნების განსაზღვრის შემდეგ შექმნილია 5-წლიანი სამოქმედო გეგმა-გრაფიკი შესაბამისი სავარაუდო ბიუჯეტით.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1. სიტუაციის ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგია

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული სიტუაციური ანალიზი ეყრდნობა შედეგებს იმ მრავალმხრივი კვლევისა, რომელიც ჩატარა „ეისითიმ“ და მოიცავდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული კვლევის მეთოდებს (კვლევის მეთოდოლოგია დეტალურად აღწერილია **დანართი 1-ში**).

პროექტის ფარგლებში პირველადი მონაცემების მოპოვება მოხდა თვისებრივი (ინტერვიუები) და რაოდენობრივი (გამოკითხვა) კვლევის მეთოდებით (პირველადი კვლევის შედეგები წარმოდგენილია დეტალურად **დანართი 2-სა და დანართი 3-ში**). გარდა ამისა, პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მეორეული მონაცემების მოპოვება სამაგიდე კვლევის საშუალებით. სამაგიდე კვლევა ეყრდნობა მეორეული მონაცემების ფართო სპექტრს, საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე არსებულ სტატისტიკურ ბაზებს და შესაბამისი დარგობრივი ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ დამატებით ინფორმაციას. კვლევითმა გუნდმა შეისწავლა მდგრადი მეთევზეობის დარგში არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები, საერთაშორისო და ეროვნული სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტები. სამაგიდე კვლევა განხორციელდა სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევებისა და ლიტერატურის გაცნობით, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მიმოხილვით (მეორეული კვლევის შედეგები დეტალურად წარმოდგენილია **დანართი 4-ში, დანართი 5-სა და დანართი 6-ში**).

ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით და ჩატარებული კვლევის საფუძველზე, ამ თავში წარმოდგენილი სიტუაციური ანალიზი იწყება მეთევზეობის მიმართულებით ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკისა და ვალდებულებების დონეზე ძირითადი აქტივობების მიმოხილვით. ამ თავის შემდგომი ნაწილი კი ეთმობა ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების ანალიზს, სადაც აღწერილია მეთევზეობის მდგრადი განვითარების ძირითადი გამოწვევები ქვეყანაში.

ექსპერტთა ტექნიკური დახმარებით, ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

<https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/35119>

2.2. სექტორში გატარებული რეფორმები/აქტივობები და სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში აღებული ვალდებულებები

აქტივობები ეროვნული პოლიტიკის დონეზე

დღეისათვის საქართველოში თევზჭერისა და თევზის რესურსებით სარგებლობის სექტორი რეგულირდება სხვადასხვა კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც მოიცავს სექტორთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს: თევზის რესურსებით სარგებლობა და დაცვა; აკვაკულტურის წარმოება; თევზის ცალკეული სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაცვა.

„აკვაკულტურის შესახებ კანონის“ (2020) მიღებით მოწესრიგდა აკვაკულტურის საქმიანობის წარმოება როგორც მტკნარ, ასევე საზღვაო წყლებში. თუმცა, არ არსებობს ერთიანი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სრულად დაფარავდა თევზის რესურსებით სარგებლობის ყველა სახეს. საკანონმდებლო აქტებში მოცემული ნორმები და მათ საფუძველზე მიღებული რეგულაციები ზოგ შემთხვევაში არის მოძველებული, არ არის განახლებული შემდგომ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად, არის ურთიერთგადამწარავი, რაც წარმოქმნის გაურკვევლობებს ამა თუ იმ რეგულაციის პრაქტიკული განხორციელებისათვის.

1990 წლის შემდგომ, საქართველოში თევზის რესურსებით სარგებლობა (თევზჭერა შავ ზღვასა და შიდა წყალსატევებში) დარეგულირდა კანონით „ცხოველთა სამყარო შესახებ“ (1996), რომლის თანახმადაც ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სპეციალური სარგებლობა, მათ შორის, თევზჭერა დაშვებული იქნა მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონმა (2005) განსაზღვრა სარგებლობის ლიცენზიების, მათ შორის, თევზჭერის ლიცენზიის გაცემის ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც 2005 წლის 15 ნოემბრამდე უნდა შესულიყო შესაბამისი ცვლილებები „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996) კანონში და ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის წესები მოსულიყო შესაბამისობაში კანონთან „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005). აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე ლიცენზიების გაცემის წესი უნდა დადგენილიყო საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით¹⁰. შესაბამისად, ამის საფუძველზე მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება №138 „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ (2005). დღეისათვის, თევზჭერის ლიცენზირება რეგულირდება მთავრობის აღნიშნული დადგენილებით, ვინაიდან კანონში „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996) არ იქნა შეტანილი შესაბამისი ცვლილებები, ასევე, არ იქნა შემუშავებული სპეციალური კანონი თევზჭერასთან

¹⁰ საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (24/06/2005).

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=111>

მუხლი 40. ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი ორგანოებისა და გაცემის წესის გარდამავალი რეგულირება

3. თუ ამ კანონით განისაზღვრა ისეთი ლიცენზიის ან ნებართვის სახე, რომლის დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობები არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით, ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე სალიცენზიო ან სანებართვო პირობები დგინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

მუხლი 41. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობამ 2005 წლის 15 ნოემბრამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების პროექტები.

დაკავშირებით, რომელიც მოაწესრიგებდა შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის საკითხებს საქართველოს კანონის შესაბამისად „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005).

როგორც აღნიშნა, 2020 წელს მიღებული იქნა კანონი „აკვაკულტურის შესახებ“, რომელიც სრულად ამოქმედდა 2023 წლიდან. აღნიშნული კანონით შიდა წყალსატევებში თევზჭერის წარმოება, რაც ასევე ითვალისწინებს წყალსატევის დათევზიანებას¹¹, განიხილება, როგორც ექსტენსიური აკვაკულტურა და საჭიროებს შესაბამის ნებართვას, ნაცვლად ლიცენზიისა. თუმცა იურიდიული ძალა შეინარჩუნა „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის მიღებამდე შიდა წყალსატევებში გაცემულმა თევზჭერის ლიცენზიებმა, რომლებიც ითვალისწინებენ წყალსატევის დათევზიანებას. აღნიშნული ლიცენზიები ძალაში იქნება მოქმედების ვადის გასვლამდე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაუქმებამდე. ლიცენზიის ვადის გასვლის ან გაუქმების შემდგომ ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობის განსახორციელებლად უკვე მოხდება ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დღეისათვის:

- a) ლიცენზიის საჭიროებს სამრეწველო თევზჭერა შავ ზღვაში და
- b) აკვაკულტურის / ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვას საჭიროებს ბუნებრივ და ხელოვნურ შიდა წყალსატევებში (მათ შორის მდინარეთა მონაკვეთებზე), ასევე შავ ზღვაში აკვაკულტურისთვის (მარიკულტურისთვის) გამოყოფილ ზონებში წყლის ცოცხალი ორგანიზმების (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარე) მოშენება, ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევის დათევზიანება და შემდგომი თევზჭერა¹².

თევზჭერის სხვა სახეები, მათ შორის, შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერა, სამოყვარულო და სპორტული მიზნით თევზჭერა, რეკრეაციული თევზჭერა და სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა არ საჭიროებს ნებართვას ან ლიცენზიას¹³. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით

¹¹ ჩვეულებრივ, შიდა წყალსატევებში თევზჭერისთვის გაცემული ლიცენზიები, ასევე მოიცავდა წყალსატევის დათევზიანების პირობას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინასწარი შეფასებების მიხედვით შიდა წყალსატევებში ბუნებრივად არსებული თევზის რესურსი (სახეობრივი შემადგენლობა, რაოდენობა) არ იყო საკმარისი ეკონომიკური სარგებლის მისაღებად.

¹² აღსანიშნავია, რომ იურიდიული ძალა შეინარჩუნა „აკვაკულტურის შესახებ“ კანონის მიღებამდე შიდა წყალსატევებში თევზჭერისთვის გაცემულმა ლიცენზიებმა მათი მოქმედების ვადის გასვლამდე (ან გაუქმებამდე). აღნიშნული ლიცენზიების გაუქმების შემთხვევაში ან ვადის გასვლის შემდგომ, მათ ნაცვლად უკვე მოხდება ექსტენსიური აკვაკულტურის საქმიანობის ნებართვის გაცემა.

¹³ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება №138 თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/10312?publication=24>

მუხლი 3. თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესი

2. თევზჭერის ლიცენზიას არ ექვემდებარება:

- ა) შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერა;
- ბ) სამოყვარულო და სპორტული მიზნით თევზჭერა;
- გ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერა;
- დ) პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერა;

თევზჭერა საჭიროებს შეთანხმებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, კანონმდებლობით ასევე არ მოითხოვება ნებართვა ან ლიცენზია სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში თევზჭერისათვის (მაგალითად, თევზჭერა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში).

[„აკვაკულტურის შესახებ“ კანონის](#) (2020) მიღებით დარგობრივი პოლიტიკა, ფაქტობრივად, გაიყო ორ მიმართულებად:

- 1) თევზჭერა, როგორც ბუნებრივი რესურსების მოპოვება;
- 2) აკვაკულტურის საქმიანობა (წყლის ცოცხალი ორგანიზმების მოშენება), როგორც პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოება (ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების დათევზიანება, წყალსატევში არსებული ბუნებრივი თევზის რესურსის აღწარმოების ხელშეწყობა და შემდგომ მისი ზრდის შედეგად თევზჭერა, მარიკულტურა და აკვაკულტურის მიზნებისთვის მოწყობილ ხელოვნურ წყალსატევებში წყლის ცოცხალი ორგანიზმების მოშენება).

ორივე მიმართულების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია თევზის სახეობების დაცვა, მდგრადი სარგებლობა და აღწარმოების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ბოლოს პარლამენტში დარეგისტრირდა და დღეისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ განიხილება [კანონის პროექტი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“](#), რომელიც მომზადებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, ასევე, საქართველოს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდგომ, უკვე ამ კანონით დარეგულირდება სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა, ასევე, CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობა. შესაბამისად გაუქმდება [კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ](#) (2003), ხოლო [„ცხოველთა სამყაროს“ შესახებ კანონში](#) (1996) შეტანილი ცვლილებებით, გაუქმდება ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული დებულებები. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონის მიღებით არსებითად შეიცვლება სახეობების დაცვასთან დაკავშირებული მიდგომები და რეგულაციები, თუმცა, იგი არ აწესრიგებს ნადირობისა და თევზჭერის საკითხებს და შესაბამისად, აღნიშნული საკითხების რეგულირება ღიად რჩება.

საჭირო ხდება თევზჭერის საკითხების მოწესრიგება საკანონმდებლო დონეზე. დარგის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, განსახილველია სპეციალური კანონის შემუშავების საჭიროება, რომელიც სრულად დაფარავს და მოაწესრიგებს თევზჭერის, როგორც ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის თემას და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

-
- ე) თევზჭერის ლიცენზიატის მიერ სალიცენზიო ფართობში მოხვედრილ წყლის ობიექტში კონკრეტული სახეობის თევზის მოშენებისათვის სხვა არალიცენზირებულ შიდა წყალსატევში თევზის მწარმოებლების (სადედე ინდივიდების) მოპოვების მიზნით თევზჭერა. ამ სახის თევზჭერაზე ვრცელდება სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესით დადგენილი მოთხოვნები;
 - ვ) კარწახის ტბაზე კიბოსნაირების, კარჩხანისა და ფსევდორასბორას მოპოვება 2022 წლის პირველ იანვრამდე.

- სამრეწველო თევზჭერა შავ ზღვაში, სამრეწველო თევზჭერის ლიცენზიების გაცემის წესი და სალიცენზიო პირობები;
- სანაპირო თევზჭერა შავ ზღვაში;
- სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა;
- წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების გარემოდან ამოღება;
- თევზჭერა დაცული ტერიტორიების ფარგლებში (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის დარეგულირებისათვის არ შევა შესაბამისი ცვლილებები [კანონში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ \(1996\)](#));
- თევზჭერა სამეცნიერო-კვლევითი მიზნით.
- თევზჭერა სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში (მაგალითად, თევზჭერა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში).

გარდა თევზჭერისა და აკვაკულტურის რეგულირებისა, საქართველოს კანონმდებლობით ასევე რეგულირდება თევზისა და თევზის პროდუქტების, როგორც საკვების / სურსათის უსაფრთხოება. თევზის რესურსების დაცვასა და სარგებლობასთან, აკვაკულტურის წარმოებასთან, თევზის სახეობების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან და თევზისა და თევზის პროდუქტების სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დეტალური ანალიზი მოცემულია [დანართი 5](#)-ში.

აქტივობები საერთაშორისო ვალდებულებების დონეზე

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

ზღვის რესურსების დაცვას პირდაპირ ეხება გაეროს მდგრადი განვითარების **მე-14 მიზანი**: “ოკეანების, ზღვებისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის“. მოცემული მიზნის ორი ამოცანა (14.4 და 14.გ) [ნაციონალიზებულია საქართველოს მიერ](#), რომლებიც თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირებას, თევზის მარაგების აღდგენას, ზღვის რესურსების კონსერვაციას და მდგრად მოხმარებას უკავშირდება.

მდგრადი განვითარების მიზანი 14: წყალქვეშა რესურსები

საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები:

14.4. 2020 წლისთვის თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერის და თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა იმისათვის, რომ აღდგეს თევზის მარაგი შესაძლო უმოკლეს ვადაში, სულ მცირე ისეთ დონეზე, რომ შეიქმნას მაქსიმალურად მდგრადი რაოდენობა, როგორც ამის საშუალებას იძლევა თევზების ბიოლოგიური მახასიათებლები.

14.4.1. თევზის მარაგის პროპორციული ოდენობა ბიოლოგიურად მდგრად საზღვრებში.

14.4.1.1. ელექტრონული მონიტორინგისა და ანგარიშგების მექანიზმების არსებობა თევზჭერის ეფექტიანი რეგულირების მიზნით.

14.გ. ოკეანებისა და მათი რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი მოხმარების გაზრდა, საერთაშორისო სამართლის განხორციელებით, როგორც ეს ასახულია [გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციაში](#), რომელიც გვთავაზობს საკანონმდებლო ჩარჩოს

ოკეანეებისა და მათი რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის, როგორც ნათქვამია „მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა“ 158-ე პარაგრაფში.

14.გ.1. ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესი ოკეანესთან დაკავშირებული ისეთი ინსტრუმენტების რატიფიკაციაში, მიღებასა და სამართლებრივი, პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოს განხორციელებაში, რომლებშიც ასახულია საერთაშორისო სამართალი, გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის შესაბამისად, ოკეანეებისა და მისი რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენებისთვის.

14.გ.1: საქართველო არის შემდეგი ხელშეკრულებების წევრი: 1. გაეროს კონვენცია ზღვის კანონის შესახებ, UNCLoS, UN Convention on the Law of the Sea), (1996 წლის 21 მარტს შეუერთდა); 2. FAO-ს შეთანხმება საერთაშორისო წყლებში თევზსაჭერი გემების მიერ კონსერვაციისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ზომებთან შესაბამისობის ხელშეწყობის შესახებ (FAO Agreement to Promote Compliance with International Conservation and Management Measures by Fishing Vessels), (შეუერთდა 1994 წლის 7 სექტემბერს); 3. „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის“ კონვენცია (ბუქარესტის კონვენცია).

გარდა ამისა, გაეროს მდგრადი განვითარების კიდევ ორი მიზანი (მიზანი 6. სუფთა წყალი და სანიტარია და მიზანი 15. დედამიწის ეკოსისტემები) არაპირდაპირ, გარკვეული სახით უკავშირდება ზღვის რესურსების დაცვასაც:

მდგრადი განვითარების მიზანი 6: სუფთა წყალი და სანიტარია

საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები:

6.5. 2030 წლისთვის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დანერგვა ყველა დონეზე, მათ შორის, შესაძლებლობების ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით.

მდგრადი განვითარების მიზანი 15: დედამიწის ეკოსისტემები

საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები:

15.1. 2020 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემების და მათი სერვისების, კერძოდ ტყეების, ჭარბტენიანი ტერიტორიების, მთებისა და გამომშრალი მიწების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა საერთაშორისო შეთანხმებებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

15.5. დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი (მნიშვნელოვანი) ზომების მიღება ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შესამცირებლად, ბიომრავალფეროვნების კარგვის შესაჩერებლად და 2020 წლისთვის გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული სახეობების დაცვა და მათი გადაშენების თავიდან აცილება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ („ასოცირების შეთანხმება“), რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს, მიზნად ისახავს ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან დაახლოებას და ეტაპობრივ ეკონომიკურ

ინტეგრაციას. შეთანხმება ადგენს იმ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები. „ასოციაციის შეთანხმება“ ძალაში შევიდა 2016 წლის 1-ელი ივლისიდან.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA), როგორც „ასოციაციის შეთანხმების“ განუყოფელი ნაწილის საშუალებით, საქართველოს განესაზღვრა მნიშვნელოვანი ვალდებულებები თევზის რესურსების გრძელვადიანი კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობის უზრუნველყოფისათვის ეკოსისტემური მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს თევზჭერის კონტროლისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბებას, თევზჭერის მონაცემთა შეგროვებას და გაცვლას, თევზჭერის მართვის რეგიონულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების გამოყენებას, თევზჭერის მართვის გაუმჯობესებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს თევზჭერის სექტორის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობას.

„ასოციაციის შეთანხმების“ 234-ე მუხლი - თევზის პროდუქტით ვაჭრობა - მოიცავს თევზის პროდუქტების ვაჭრობის საკითხებს და მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვისათვის და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობისათვის:

- a) თევზჭერის მართვის საუკეთესო გამოცდილების დანერგვა თევზის მარაგის კონსერვაციისა და მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად, ეკოსისტემური მიდგომების გათვალისწინებით;
- b) ეფექტური ზომების გატარება თევზჭერის საქმიანობის მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით;
- c) ზღვის ცოცხალი რესურსების გრძელვადიანი კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა გაეროსა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ძირითადი ინსტრუმენტების შესაბამისად;
- d) მონაცემთა შეგროვების კოორდინირებული სქემების განვითარების ხელშეწყობა და სამეცნიერო თანამშრომლობა, თევზჭერის მართვისთვის სათანადო მეცნიერო რეკომენდაციების მიწოდების მიზნით;
- e) მჭიდრო თანამშრომლობა თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან;
- f) თანამშრომლობა არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ყოვლისმომცველი, ეფექტიანი და გამჭირვალე ზომების გამოყენება. პოლიტიკისა და შესაბამისი ზომების განხორციელება, რათა არადოკუმენტირებული და დაურეგულირებელი პროდუქცია არ მოხვდეს სავაჭრო მიმოქცევასა და შესაბამის ბაზრებზე.

ასოციაციის შეთანხმების 239-ე მუხლით - ვაჭრობასა და მდგრად განვითარებაზე ერთობლივი მუშაობა - განსაზღვრავს ქვეყნის ვალდებულებას, ითანამშრომლოს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის მდგრადი თევზჭერის გამოცდილებისა და მდგრადად მართული თევზის პროდუქტებით ვაჭრობის ხელშეწყობისათვის.

თევზჭერის პოლიტიკასა და მმართველობას ეთმობა ასოცირების შეთანხმების მე-11 თავის პირველი ნაწილი (მუხლები 335-338). კერძოდ ამ ნაწილით განსაზღვრულია ქვეყნის შემდეგი ვალდებულებები:

- თანამშრომლობა თევზჭერის სექტორში შემდეგი მიმართულებებით, რაც წარმოადგენს საერთო ინტერესებს: წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაცია და მართვა, ინსპექტირება და კონტროლი, მონაცემების შეგროვება, არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ერთობლივი ქმედებების განხორციელება და ინფორმაციის გაცვლა, რათა ხელი შეეწყოს თევზჭერის სფეროს კარგ მმართველობასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, რომელიც ითვალისწინებს თევზის მარაგის კონსერვაციას და მდგრად მართვას ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე;
- პასუხისმგებლიანი თევზჭერისა და თევზჭერის მართვის ხელშეწყობა მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს თევზის მარაგის კონსერვაციასა და ეკოსისტემების ჯანსაღ მდგომარეობაში შენარჩუნებას;
- რეგიონული თანამშრომლობის განვითარება, მათ შორის თევზჭერის მართვის რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში;
- თანამშრომლობა და კოორდინაცია შავ ზღვის ცოცხალი რესურსების მართვისა და კონსერვაციის სფეროში. შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა;

თევზჭერის სფეროში თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებებად განიხილება:

- a) წყლის ცოცხალი რესურსების, თევზჭერის მოცულობისა და ტექნიკური ზომების მართვა;
- b) თევზჭერის ინსპექტირება და კონტროლი, საჭირო სათვალთვალო ტექნიკის, მათ შორის ელექტრონული მონიტორინგის მოწყობილობებისა და მიკვლევადობის საშუალებების გამოყენებით, ასევე, აღსრულებადი კანონმდებლობისა და კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფით;
- c) თევზჭერის, ხმელეთზე გადმოტვირთვის, ფლოტის, ბიოლოგიური და ეკონომიკური მონაცემების ჰარმონიზებული შეგროვება;
- d) თევზჭერის შესაძლებლობების მართვა, რაც ასევე მოიცავს თევზის სარეწი ფლოტის რეგისტრაციას;
- e) ბაზრების ეფექტიანობა, განსაკუთრებით კი, მწარმოებელი ორგანიზაციების ხელშეწყობის, მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და მარკეტინგის სტანდარტებისა და მიკვლევადობის უზრუნველყოფის გზით;
- f) მეთევზეობის დარგისთვის სტრუქტურული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ მდგრადობას.

გარდა თევზჭერის რეგულირებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების „გარემოს დაცვის თავი“ მოიცავს გარკვეულ ვალდებულებებს ბუნების დაცვის კუთხით, რაც ასევე ვრცელდება თევზის სახეობების დაცვასა და მისი რესურსებით მდგრად სარგებლობაზე.

ბუნების დაცვის მიმართულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად ([1992 წლის 21 მაისის საბჭოს 92/43/EEC დირექტივა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ](#)), საქართველოში მიმდინარეობს ზურმუხტის ქსელის განვითარება. საქართველოში ამ ეტაპზე გამოვლენილია და ზურმუხტის ქსელში ჩართულია

66 ტერიტორია, რომელთა ჯამური ფართობი შეადგენს 1 306 752 ჰა-ს. ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებს შორის არის კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვაო ნაწილი, ტაბაწყურის, ხანჩალის, მადატაფისა და ბულდაშენის ტბები. ქვეყანას მოეთხოვება აღნიშნული ზურმუხტის ტერიტორიების დაცვა და შენარჩუნება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აქ გავრცელებული სახეობების სახარბიელო კონსერვაციული სტატუსი. გარდა აღნიშნულისა, ქვეყანა ვალდებულია, უზრუნველყოს 92/43/EEC დირექტივის მეოთხე დანართში მოცემული სახეობებისთვის მკაცრი დაცვის რეჟიმის დაწესება, მათ შორის, ზღვის ძუძუმწოვრების ყველა სახეობის, ასევე ატლანტური ზუთხის.

თანამშრომლობა ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM)

შავი ზღვის თევზის რესურსებს ინაწილებს მის გარშემო მდებარე ექვსი ქვეყანა, ამიტომ რეგიონული თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თევზჭერის რაციონალური მართვისათვის. ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისია (GFCM) დაფუძნდა 1949 წელს, როგორც თევზჭერის რეგიონული მართვის ორგანიზაცია (RFMO - Regional Fisheries Management Organization), რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (UN FAO) მიაწიჭა ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ცოცხალი რესურსების მართვის კომპეტენცია. შესაბამისად, GFCM-ში შექმნილია შავი ზღვის სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს შავი ზღვის საკითხებზე.

„ასოცირების შეთანხმების“ 234-ე და 336-ე მუხლებით განსაზღვრულია ქვეყნის ვალდებულება, ითანამშრომლოს თევზჭერის მართვის რეგიონულ ორგანიზაციასთან. ამ ვალდებულების შესრულების მიზნით საქართველო 2014 წლიდან თანამშრომლობს GFCM-თან, რომელიც წარმოადგენს თევზჭერის მართვის რეგიონულ ორგანიზაციას და შექმნილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ფარგლებში. GFCM-ის მიზანია, ზღვის ცოცხალი რესურსების კონსერვაციის და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა და აკვაკულტურის მდგრადი განვითარება ხმელთაშუა და შავ ზღვებში..

GFCM-თან თანამშრომლობა საქართველოს საშუალებას აძლევს, მიიღოს ტექნიკური დახმარება თევზჭერის მონიტორინგისა და კონტროლის, მათ შორის, მონაცემების შეგროვების სისტემის გაუმჯობესებისათვის, ასევე, თევზჭერის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზებისათვის ევროკავშირის რეგულაციებთან. დღეისათვის, როგორც არა-წევრი თანამშრომელი ქვეყანა, საქართველო მონაწილეობას იღებს GFCM-ის შესაბამისი კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მაგრამ არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ასევე, რეგულარულად წარადგენს ინფორმაციას თევზსაჭერი გემებისა და მათი პარამეტრების შესახებ, თევზჭერის კვტებისა და ფაქტიური ჭერების შესახებ, თევზჭერის სფეროში კანონმდებლობისა და სამეცნიერო მონაცემების შესახებ.

საქართველოსთვის GFCM-ის წევრობა მომგებიანი იქნება იმ მხრივ, რომ გაადვილდება ქვეყნის ინტერესების დაცვა რეგიონის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას. როდესაც ქვეყანა აქტიურად არის ჩართული მონაცემების შეგროვების და გაზიარების პროცესში შესაბამის სამუშაო ჯგუფთან და თავისი წვლილი შეაქვს რეკომენდაციების შემუშავებაში, ეს ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს მისი ინტერესების დაცვაში. ხოლო, თუ ქვეყანა ასევე კომისიის სრულუფლებიანი წევრია, მას უფლება ენიჭება კენჭისყრაში რეკომენდაციების მიღებისას.

2018 წლის თებერვალში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და FAO/GFCM-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმების წერილის (Letter of

Agreement) მიხედვით, საქართველო სარგებლობს ტექნიკური დახმარებით თევზჭერის და აკვაკულტურის მდგრადი განვითარებისათვის.

ბიომრავალფეროვნების კონვენცია (CBD) და გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩო (GBF)

კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD), რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით.

კონვენციის მიღებით აღიარებულია, რომ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო საზრუნავსა და განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს. კონვენციას აქვს სამი ძირითადი მიზანი:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება;
- გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარი განაწილება

კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ ეხება ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტს - მრავალფეროვნებას ერთი სახეობის ფარგლებში (გენეტიკური მრავალფეროვნება), სახეობების მრავალფეროვნებასა და მრავალფეროვნებას ეკოსისტემების დონეზე.

კონვენციის ყველა წევრ ქვეყანას ეკისრება ვალდებულება ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებაზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური რესურსებით (მათ შორის თევზისა და წყლის სხვა რესურსების) მდგრადი სარგებლობა, სარგებლობის რეგულირებისა და მკაფიო წესების დადგენით. კონვენციაში აღნიშნულია, რომ ეკოსისტემები, სახეობები და გენეტიკური რესურსები გამოყენებული უნდა იქნას ადამიანების საკეთილდღეოდ, მაგრამ ისეთი სახით და ტემპებით, რომლებიც ხანგრძლივადიან პერსპექტივაში არ გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების გაღარიბებას. კონვენცია აღიარებს, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ეს მოიტანს არანაკლებ მნიშვნელოვან ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს.

გარდა ბიოლოგიური რესურსების (მათ შორის თევზის) მდგრადი სარგებლობისა, კონვენცია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მთავარ ინსტრუმენტებად განიხილავს: დაცული ტერიტორიების სისტემის შექმნას და განვითარებას; ცალკეული, საფრთხის წინაშე მყოფი პოპულაციების დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფას, მათი ბუნებრივი საბინადრო ადგილების დაცვას და სიცოცხლისუნარიანი პოპულაციების შენარჩუნებას; დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენას; ცოცხალ გენმოდირეტირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებული რისკების მართვას; უცხო სახეობების ინტროდუქციის თავიდან აცილებას; სამეცნიერო კვლევებს; საზოგადოების განათლებასა და ცნობიერების ამაღლებას.

2022 წელს კონვენციის მხარეთა მე-15 კონფერენციაზე მიიღეს კუნძინგ-მონრეალის გლობალური ბიომრავალფეროვნების ჩარჩო ([Global Biodiversity Framework – GBF](#)), რომელიც განსაზღვრავს ქმედებების ჩარჩოს 2050 წლის გლობალური ხედვის - ბუნებასთან ჰარმონიაში მცხოვრები სამყარო - მისაღწევად. GBF-ს ასევე წვლილი შეაქვს მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის მიღწევაში. თავის მხრივ, მდგრადი განვითარების მიღწევა მის სამივე განზომილებაში (გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური მიმართულებები) აუცილებელი პირობაა GBF-ით განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის.

ჩარჩო მოიცავს 4 ზოგად მიზანს 2050 წლისათვის და 23 კონკრეტულ მიზანს 2030 წლისათვის. კონვენციის მხარეებმა GBF-ის შესაბამისად უნდა განსაზღვრონ ეროვნული მიზნები და განახორციელონ ღონისძიებები მათ მისაღწევად. GBF-ის 2030 წლის 23 მიზნიდან, [მე-10 მიზანი უშუალოდ დაკავშირებულია აკვაკულტურისა და თევზჭერის სექტორების მდგრად მართვასთან](#) და მოითხოვს ბიომრავალფეროვნებისადმი მეგობრული პრაქტიკების დანერგვას, მათ შორის, მდგრადი ინტენსიფიკაციის¹⁴, აგროეკოლოგიური და სხვა ინოვაციური მიდგომების დანერგვას, აკვაკულტურისა და თევზჭერის, როგორც საწარმოო სისტემების მდგრადობისა და ხანრძლივადიანი ეფექტურობის უზრუნველყოფას, რაც ხელს უწყობს სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას. GBF-ის 2030 წლის სხვა მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია GBF-ის განხორციელებასა და ინტეგრირებისთვის საჭირო ინსტრუმენტებთან და გადაწყვეტებთან, ასევე, ირიბად უკავშირდება თევზის სახეობებისა და მათი ბუნებრივი გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, ასევე მდგრადი თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარების უზრუნველყოფას.

საერთაშორისო და რეგიონული კონვენციები

გარდა „ბიომრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციისა, საქართველო არის კიდევ რამდენიმე საერთაშორისო და რეგიონული კონვენციისა და ხელშეკრულებების მხარე, რომელთა ფარგლებშიც ქვეყანას აღებული აქვს ვალდებულებები, დაიცვას და უზრუნველყოს თევზის რესურსებით მდგრადი სარგებლობა. აღნიშნული ხელშეკრულებების აღწერა წარმოდგენილია დეტალურად **დანართი 5**-ში.

საქართველო არის ორმხრივი შეთანხმების მხარეც. კერძოდ, საქართველოსა და უკრაინას შორის 1996 წელს დაიდო ორმხრივი შეთანხმება [„შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის თევზის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“](#), რომლის მიზანია ზღვის რესურსების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი ძირითადად ეხება თევზის მეურნეობის საკითხებს, ის ასევე მოიცავს თევზჭერის სფეროსაც. კერძოდ, ქვეყნების უფლებებს, ჰქონდეთ წვდომა კვოტის ფარგლებში აუთვისებელ რესურსზე. დღეისათვის ამ ხელშეკრულების მიხედვით არ არის განსაზღვრული მეორე ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი თევზის რესურსის ოდენობები.

2.3. ძირითადი პრობლემების ანალიზი

I. ინსტიტუციური მოწყობის საკითხები

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს (**დანართი 6**), რომ თევზჭერის მიმართულია ევროპაში (მათ შორის, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში) არის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. როგორც წესი, ამ სფეროს მართვისთვის ევროკავშირის ქვეყნებში ცალკე არის გამოყოფილი შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პოლიტიკას წარმართავს ევროკავშირის საერთო მეთევზეობის პოლიტიკის (CFP) შესაბამისად. მეთევზეობა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, წარმოებასთან (თევზის რესურსის მოპოვება, გადამუშავება და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობები) და მეორე მხრივ,

¹⁴ მდგრადი ინტენსიფიკაცია (sustainable intensification) არის მიდგომა, რომელიც იყენებს ინოვაციებს არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე პროდუქტიულობის გაზრდისთვის ისე, რომ დადებითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება ხდებოდეს.

ბიომრავალფეროვნების დაცვასთან (თევზი და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმები, როგორც ველური სახეობები და წყლის ეკოსისტემები, როგორც ამ სახეობების ჰაბიტატები). მდგრადობა სჭირდება როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვას, ასევე ეკონომიკურ განვითარებას.

დღეისათვის, მეთევზეობის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ამოცანა საქართველოში გადანაწილებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემავალ ორ დეპარტამენტს შორის, ესენია: (1) სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი (კერძოდ, აღნიშნული დეპარტამენტის აკვაკულტურის განვითარების სამმართველო) და (2) ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი. აღნიშნული ორი დეპარტამენტი ინაწილებს მეთევზეობის კონკრეტულ მიმართულებებს, აკვაკულტურასა და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიმართულებებს. თუმცა, მეთევზეობის სხვა მიმართულებებისთვის და, ზოგადად, მეთევზეობის დარგის განვითარებისთვის პოლიტიკის განსაზღვრის უფლებამოსილება არ არის დადგენილი სახელმწიფო დონეზე.

საქართველოში არსებული გამოწვევები მეთევზეობის სექტორის ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით გარკვეულწილად განაპირობებს იმასაც, რომ დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სექტორის განვითარების ერთიანი ხედვა და ქვეყანაში არ ხდება თევზჭერისა და წყლის სხვა რესურსების რეწვის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციული მოთხოვნების გათვალისწინებით. დღეისათვის საქართველოში არც ერთი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული მეთევზეობის ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს თევზის რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის ყველა მიმართულებას.

II. საკანონმდებლო საკითხები და რეგულირება

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, თევზჭერის მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ბაზა სრულად არ ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის, ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და რეკომენდაციებს თევზჭერის სექტორის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ დარგში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის საკითხების არაერთიანი, არაერთგვაროვანი, მიმოფანტული სამართლებრივი მოწესრიგება (დანართი 5). ქვეყანას არ აქვს თევზჭერის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო აქტი. წყლის ცოცხალი რესურსების დაცვისა და მდგრადი სარგებლობის სამართლებრივი მოწესრიგება არაერთგვაროვანია და გაფანტულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის სექტორის ერთიანი მიდგომებით მართვას. განახლებას საჭიროებს შავ ზღვაში სამრეწველო და სანაპირო თევზჭერის, ასევე შიდა წყლებში თევზჭერის ზოგიერთი სახის, მათ შორის სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერის, სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერის და თევზჭერის სხვა საგამონაკლისო შემთხვევების მარეგულირებელი აქტები. თევზჭერის მთელი რიგი ასპექტები არის დარჩენილი მარეგულირებელი ჩარჩოს მიღმა ან საჭიროებს რეგულირების ოპტიმიზაციას. 2023 წლის ბოლოს პარლამენტში დარეგისტრირდა და დღეისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ განიხილება კანონის პროექტი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდგომ, უკვე ამ კანონით დარეგულირდება სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა, ასევე, CITES-ის დანართებში შეტანილი სახეობებით საერთაშორისო

ვაჭრობა. შესაბამისად გაუქმდება კანონი „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ (2003), ხოლო „ცხოველთა სამყაროს“ შესახებ კანონში (1996) შეტანილი ცვლილებებით, გაუქმდება ცხოველთა სამყაროს ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული დებულებები. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონის მიღებით არსებითად შეიცვლება სახეობების დაცვასთან დაკავშირებული მიდგომები და რეგულაციები, თუმცა, იგი არ აწესრიგებს ნადირობისა და თევზჭერის საკითხებს და შესაბამისად, აღნიშნული საკითხების რეგულირება ღიად რჩება და საჭიროებს მოწესრიგებას. გარდა ამისა, თანჭერილის შესახებ არსებული რეგულირებები საჭიროებს გადახედვას, რათა ისინი ჰარმონიზებული იყოს საერთაშორისო სტანდარტებსა და საერთაშორისო ანგარიშგების მოთხოვნებთან.

III. მოსაკრებლების დადგენის მეთოდოლოგია

საკანონმდებლო მიმართულებით ცალკე აღსანიშნავია მოსაკრებლების განსაზღვრის პრინციპთან დაკავშირებული საკითხები (**დანართი 4**). [საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ](#) (2003) ადგენს თევზჭერის ლიცენზიის მოსაკრებლისა და აკვაკულტურის ნებართვის განაკვეთებს, რომლებიც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს. 2007 წლის შემდეგ დღემდე სალიცენზიო მოსაკრებლის განაკვეთი თევზჭერის ლიცენზიისთვის არ შეცვლილა და დადგენილია 200 ლარის ოდენობით. დამატებით, [საქართველოს კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ](#) (2004) ადგენს შესაბამისი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელსა და ცხოველთა სამყაროს ობიექტთა (მათ შორის, თევზებით) სარგებლობისთვის მოსაკრებელს, რომლებიც წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსავალს. აღსანიშნავია, რომ ამ კანონის მიღებიდან 13 წლის შემდეგ, 2017 წელს, შევიდა ცვლილებები კანონში, რის შედეგადაც გაიზარდა მოსაკრებლის ოდენობა როგორც შავი ზღვის, ასევე შიდა წყალსატევების თევზის უმეტეს სახეობებზე. თუმცა, საინტერესოა ის, რომ შავი ზღვის სარეწაო თევზის ყველაზე პოპულარულ სახეობაზე (ქაფშია) მოსაკრებელი არ შეცვლილა მომდევნო 20 წლის განმავლობაში, დღემდე და მისი ოდენობა 1 ტონაზე კვლავ 25 ლარის დონეზე განისაზღვრება. გარდა ამისა, ამ პერიოდში ასევე არ შეცვლილა მოსაკრებლების ოდენობა წყლის რესურსებით სარგებლობისათვის როგორც კასპიის ზღვის, ასევე შავი ზღვის აუზის მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების შემთხვევაში და შავი ზღვის წყლის შემთხვევაშიც. ის ფაქტი, რომ არ არის დადგენილი, თევზჭერის სექტორში რა მეთოდოლოგიით და რის საფუძველზე ხდება მოსაკრებლების განსაზღვრა (მათი ცვლილება ან/და უცვლელად დატოვება), გამოწვევას წარმოადგენს როგორც დარგის საბაზრო განვითარებისთვის, ასევე თევზის, როგორც ბიომრავალფეროვნების რესურსის არასაბაზრო ღირებულების შეფასებისთვის.

IV. ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემა

[საქართველოს კანონი ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ](#) (2005) სარგებლობის ლიცენზიის სახეებს შორის ადგენს თევზჭერის ლიცენზიას, ხოლო ნებართვის სახეებს შორის - აკვაკულტურის ნებართვასა და ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვას (2020 წლიდან¹⁵). როგორც აღინიშნა, [აკვაკულტურის შესახებ კანონის](#) (2020) შესაბამისად, შიდა წყალსატევებში

¹⁵ საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (24/06/2020).

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4902156?publication=0>

თევზჭერა განიხილება, როგორც ექსტენსიური აკვაკულტურა და საჭიროებს შესაბამის ნებართვას, ნაცვლად ლიცენზიისა. თუმცა, იურიდიული ძალა შეინარჩუნა [„აკვაკულტურის შესახებ“ კანონის](#) (2020) მიღებამდე შიდა წყალსატევებში გაცემულმა თევზჭერის ლიცენზიებმა და ისინი ძალაში იქნება მოქმედების ვადის გასვლამდე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაუქმებამდე. დამატებით, [საქართველოს მთავრობის 138-ე დადგენილება](#) (11/08/2005) განსაზღვრავს თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს. მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც არსებობს როგორც შავ ზღვაში თევზჭერის, ასევე შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზირებისა და ნებართვების არსებულ სისტემასთან მიმართებით, უკავშირდება იმას, რომ ქვეყანაში არ ჩატარებულა საფუძვლიანი კვლევა-შეფასება ლიცენზირების არსებული სისტემის ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ეფექტიანობასა და სარგებლიანობასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა (**დანართი 2, დანართი 4, დანართი 5**), რომ თევზჭერის ლიცენზირების სისტემა, არსებული მდგომარეობით, შესაძლოა, არ იყოს ეფექტიანი. მონაცემები აჩვენებს, რომ სარეწაო თევზის სახეობებზე ყოველწლიურად დაწესებულ კვოტებსა და თევზის ფაქტიურ ჭერებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არა მხოლოდ შავ ზღვაზე, არამედ უფრო მეტად, შიდა წყალსატევებზე. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს არსებული სალიცენზიო სისტემების ეფექტიანობის გამოწვევებზე. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დეტალურ შესწავლას.

V. მარაგების შეფასება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სააგენტო სისტემატურად ახორციელებს შავი ზღვის საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ბიორესურსების შეფასებას და სარეწაო პროგნოზირებას თანამედროვე მეთოდებისა და ხელსაწყო-დანადგარების გამოყენებით და მონაცემთა შეგროვება ხდება ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) რეკომენდაციების შესაბამისად. მიუხედავად ზემოაღნიშნული წინსვლებისა, ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები ქვეყანაში წყლის რესურსების მარაგების შეფასების მიმართულებით. ჯერჯერობით სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული კვლევები მარაგების შეფასებაზე კონცენტრირებულია რამდენიმე სარეწაო სახეობის კვლევაზე (**დანართი 4**) და მნიშვნელოვანია, რომ სარეწაო თევზის უფრო მეტი სახეობის კვლევა გახდეს პრიორიტეტული. რაც შეეხება შიდა წყალსატევებში მარაგების შეფასების საკითხს, ქვეყანაში ამ მიმართულებით მთავარ პრობლემად გამოიკვეთა ის, რომ ტბებისა და წყალსაცავების არსებული რაოდენობის გათვალისწინებით¹⁶, ეკონომიკური საქმიანობა მხოლოდ რამდენიმე ერთეულზე ხორციელდება; ქვეყანაში არ ჩატარებულა ერთიანი, სრულფასოვანი კვლევები, რომლებიც შეაფასებდა ტბებისა და შიდა წყალსატევების ეფექტიანობას, ეკონომიკურ პოტენციალს და თევზის სახეობების ბიომრავალფეროვნების საკითხებს. გარდა ამისა, შიდა წყალსატევების მიმართულებით ქვეყანაში მარაგების შეფასების კვლევებზე არ არსებობს შესაბამისი მეთოდოლოგია, რაც არსებულ კვლევებს არასრულყოფილს ხდის. და ბოლოს, მონაცემები აჩვენებს, რომ სარეწაო თევზის სახეობებზე ყოველწლიურად დაწესებულ

¹⁶ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში მდინარეებისა და ნაკადულების რაოდენობა არის 26060, ტბების რაოდენობა არის 856 და წყალსაცავებისა და ტბორების რაოდენობა არის 44. სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული მონაცემების წყარო არის ვ. ტრაპაიძის დოკუმენტი "წყლის რესურსები" ([გაჟა ტრაპაიძე \(2012\). „წყლის რესურსები“. სასწავლო კურსი](#)).

კვოტებსა და თევზის ფაქტიურ ჭერებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა არა მხოლოდ შავ ზღვაზე, არამედ უფრო მეტად, შიდა წყალსატევებზე. ეს, შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზეც, რომ ქვეყანაში სარეწაო თევზის სახეობებზე მარაგების კვლევის ან კვოტირების არსებული სისტემის კუთხით არსებობს გამოწვევები. აღნიშნული საკითხები საჭიროებს დეტალურ შესწავლას.

VI. საინფორმაციო სისტემები და მონაცემების მოპოვება

სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ვალდებულებებში შედის თევზჭერის სფეროში ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ანგარიშგება. თუმცა, ქვეყანაში არ არსებობს ინფორმაციის მართვის ერთიანი სისტემა, რომელშიც თავს მოიყრიდა თევზჭერისა და აკვაკულტურის სფეროებთან დაკავშირებული ყველა მონაცემი. ანგარიშგებისთვის საჭირო ინფორმაციის და მონაცემების, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების გენერირების, ანალიზის, გაცვლის და შენახვის არსებული მექანიზმები საჭიროებს გადახედვას და შემდგომ გაუმჯობესებას.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გზდ) და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად ავითარებენ საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემებს, მათ შორის, მეთევზეობის დარგში (**დანართი 4**). მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მაინც გაუმჯობესებას საჭიროებს დარგში მონაცემების მოპოვებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემები. [თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი](#) (2013) ადგენს, რომ ლიცენზირებადი თევზჭერისას (გარდა შავ ზღვაში თევზჭერისა) თითოეული თევზმჭერი, სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, ვალდებულია, აწარმოოს აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტით დამტკიცებული სარეწაო ჟურნალი. შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელი კი ვალდებულია, ჭერილის რეალურ დროში კონტროლის მიზნით, გემზე დაამონტაჟოს ელექტრონული მონიტორინგის სისტემა და აწარმოოს ელექტრონული თევზჭერის ჟურნალი. გზდ-ის ინფორმაციით, შავი ზღვის ლიცენზიანტები აქტიურად იყენებენ ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალს მონაცემების წარდგენისთვის, თუმცა, ე.წ. 12%-იანი გემების მფლობელი სუბიექტების დიდი უმრავლესობა და ასევე შიდა წყალსატევების ლიცენზიანტებიც ჯერ კიდევ ამ ელექტრონული სისტემის მიღმა ახდენენ ანგარიშგებას. ეს კი მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მონაცემების აღრიცხვიანობის სიზუსტისა და სანდოობის კუთხით. ამასთან, გართულებულია აკვაკულტურის შესახებ კანონის შესაბამისი გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის უზრუნველყოფა რეგულირების ობიექტების მიერ თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების ელექტრონული სისტემის დანერგვის გარეშე.

VII. სანაპირო, სპორტულ-სამოყვარულო და სხვა საგამონაკლისო შემთხვევების თევზჭერის მოწესრიგების საკითხები

ცალკე აღსანიშნავია ის გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება ქვეყანაში არალიცენზირებადი თევზჭერის ისეთ სახეებს, როგორებიცაა: i) შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერა; ii) სამოყვარულო და სპორტული მიზნით თევზჭერა; iii) სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში თევზჭერა (მაგალითად, თევზჭერა პალიასტომის ტბასა და ნათხარებში) (**დანართი 2, დანართი 5**). იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ანგარიშგებისა და აღრიცხვიანობის სტანდარტები ამ მიმართულებით, შესაბამისად, არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მასშტაბის თევზჭერა ხდება აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ.

VIII. უკანონო თევზჭერა და სამართალდარღვევები

სახეობათა არამდგრადი მოპოვება და ბრაკონიერობა ბიომრავალფეროვნების (მათ შორის, თევზის სახეობების) კარგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია საქართველოში. მხოლოდ სახელმწიფო უწყებების მიერ გამოვლენილ ფაქტებზე დაყრდნობითაც კი ჩანს, რომ უკანონო თევზჭერა ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. როგორც გზდ-ის, ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ გამოვლენილი ფაქტებით, უკანონო თევზჭერის შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ მზარდია (**დანართი 4**). ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ, იმაზეც მიუთითებდეს, რომ გაიზარდა შემთხვევების გამოვლენის ფაქტები მაკონტროლებელი უწყებების, მათ შორის, გზდ-ის მხრიდან. თუმცა, უკანონო თევზჭერის საკითხი მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად აღინიშნება დაინტერესებული მხარეების მხრიდან.

IX. ბიომრავალფეროვნების კარგვა

საქართველოში თევზის რესურსების ბიომრავალფეროვნების კუთხით გამოწვევები იკვეთება შავი ზღვის ტერიტორიაზე სარეწაო სახეობებისთვის, ასევე, ქვეყნის შიდა წყლებში თუნდაც სპორტული მიზნით თევზჭერისთვის (**დანართი 2, დანართი 4**). ტბებსა თუ წყალსაცავებშიც თევზის სახეობების მრავალფეროვნების კუთხით დღეს ქვეყანაში მდგომარეობა არასახარბიელოდ ფასდება. შეფასებულია, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით, საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში შემცირებულია თევზის ბიომრავალფეროვნება როგორც სახეობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. 1980-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაკვირვების ქვეშ არსებული თევზის სახეობების რაოდენობა 104-ს შეადგენდა, 21-ე საუკუნის დასაწყისში მათი რიცხვი 69-მდე შემცირდა¹⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლამდე ქვეყანაში დაახლოებით 16-20 სარეწაო სახეობის თევზზე გამოიყოფოდა კვოტები შავ ზღვაზე, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ სახეობების რაოდენობა 5-ს არ აღემატება. კვოტების დადგენა, შესაძლოა, პირდაპირ არ უკავშირდებოდეს თევზის ბიომრავალფეროვნების საკითხებს, თუმცა, არც გამორიცხავდეს მას. აღნიშნული საკითხის ზუსტი შეფასებისთვის საჭიროა ტარდებოდეს რეგულარული სამეცნიერო კვლევები თევზის სახეობებზე, რაც დღეს მცირე მასშტაბით ხორციელდება.

ქვეყანაში თევზის სახეობების კვლევებს აქვს არასისტემური ხასიათი, მონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ გარკვეულ პრიორიტეტულ სახეობებზე და შესაბამისად, არ არის დაფარული სახეობების ფართო სპექტრი. ამასთან, ქვეყანაში სახეობების აღდგენის საკითხი, ძირითად შემთხვევებში, არ ეფუძნება კონკრეტულ გეგმასა და სისტემურ მიდგომას, რაც ასევე პრობლემურია ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნებისთვის. მნიშვნელოვანი გამოწვევაა დღეს ისიც, რომ არ ხორციელდება ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვის სისტემატური კვლევები და მონიტორინგი.

X. უცხო ინვაზიური სახეობები

შავი ზღვისა და მტკნარი წყლების ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნებისათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხედ განიხილება უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელება,

¹⁷ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2022). „2022-2026 წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP 4)“. <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047>

რომლებიც იწვევენ კვებითი ჯაჭვის დარღვევებს და მნიშვნელოვნად ამცირებენ ადგილობრივი სახეობების საკვებ ბაზას (**დანართი 2, დანართი 4**). აღნიშნული პირდაპირი კონკურენციის შედეგად მცირდება ადგილობრივი სახეობების პოპულაციების რიცხოვნობა და ბიომრავალფეროვნება. აღნიშნული კი ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას როგორც სამრეწველო, ასევე რეკრეაციულ თევზჭერაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევაა უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელებისა და ზეგავლენის შესახებ მონაცემებისა და ცოდნის სიმცირე, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სტრატეგია და მართვის ღონისძიებები.

XI. ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა

თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით ქვეყანაში არსებული პრობლემების დიდი ნაწილი უკავშირდება ინფრასტრუქტურულ და ლოგისტიკურ გამოწვევებს. კვლევამ აჩვენა, რომ შავ ზღვაზე თევზის გადმოსატვირთი ადგილებისა და ნავმისადგომების სიმწირეა, რაც დარგის განვითარებასაც აფერხებს. ამავდროულად, არ არსებობს აკვაკულტურისა და ზღვაზე მარიკულტურის მოწყობის სტანდარტები, რამაც, მიუხედავად დარგის მაღალი პოტენციალისა, შესაძლოა ამ მიმართულების განვითარებასაც შეუშალოს ხელი.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ თევზის პროდუქტებში დაავადებების შემთხვევების რაოდენობა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად მაღალია ქვეყანაში მოქმედ სათევზე მეურნეობებში, არის ის, რომ საქართველოში არსებული ლაბორატორიების რესურსები არასაკმარისია. შესაბამისად, დაავადებებზე დაკვირვებისთვის ხშირად ხდება ნიმუშების გაგზავნა საზღვარგარეთ ევროპულ ლაბორატორიებში, რაც, თავის მხრივ, დროით და ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული (**დანართი 2**). იქიდან გამომდინარე, რომ თევზის დაავადებების კონტროლი პრობლემურია ადგილობრივ სათევზე მეურნეობებში, ეს გავლენას ახდენს პროდუქტის ხარისხზეც და შესაბამისად მის მიმზიდველობაზე არათუ საექსპორტო, არამედ ადგილობრივი ბაზრის დონეზეც.

XII. ცოდნა, განათლება და კვალიფიკაცია მეთევზეობის დარგში

საქართველოში თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარების პოტენციური მაღალია (**დანართი 2, დანართი 4**). თუმცა, ამავდროულად, მეთევზეობის დარგის განვითარებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია რაოდენობა შესაბამისი სპეციალისტებისა (ვეტერინარები, იხტიოპათოლოგები და მაღალი კვალიფიკაციის მქონე დარგის ექსპერტები). მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანაში ნაკლებად არის განვითარებული ამ დარგში აკადემიური სასწავლო სისტემა და სერტიფიცირების პროგრამები, ეს კი ხელს უშლის მეთევზეობის მიმართულებით ახალი სპეციალისტების მომზადებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვან გამოწვევას მეთევზეობის სფეროში წარმოადგენს ცნობიერების ამაღლება როგორც საქმიანობის განმახორციელებლებისთვის, ასევე სფეროში დასაქმებულთათვის. დღეს საწარმოო ტექნიკური ცოდნის ნაკლებობაა უშუალოდ ფერმერებში, რის საფუძველზეც უპასუხისმგებლო მეთევზეობა არის გავრცელებული, ეს კი ხელს უშლის კარგი საწარმოო პრაქტიკის დანერგვას. ამავდროს, ფერმერებისთვის ცნობიერების ამაღლების კურსები არ არსებობს, რაც აფერხებს მათი საქმიანობის სტანდარტიზაციას, განვითარებას და ხელს უშლის მათი სწორი ხედვის ჩამოყალიბებას.

ამასთან, ქვეყანაში გამოწვევას წარმოადგენს თევზის, როგორც ბიომრავალფეროვნების რესურსის დაცვისა და მდგრადი სარგებლობის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე საზოგადოებაში, რაც მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს გავრცელებული მანკიერი თევზჭერის პრაქტიკისა და ბრაკონიერობის შემთხვევებისა.

XIII. თევზის დაავადებების მართვა

თევზის დაავადებების მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული საკითხები დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა (**დანართი 2, დანართი 4**). აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქცია უნდა იყოს უვნებელი, საწარმოები, სადაც ხდება მათი გადამამუშავება უნდა შეესაბამებოდეს სურსათის უვნებლობის ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის კუთხით ქვეყნის კანონმდებლობა დიდწილად ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტების შესახებ მოქმედი კანონმდებლობა ემსახურება ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომას (“one health approach”), რომელიც გულისხმობს ადამიანის, ცხოველებისა და გარემოს ჯანმრთელობის ერთიანობაში დაცვის პრინციპს და მოიცავს სურსათის უვნებლობის კუთხით განსაზღვრულ მოთხოვნებსაც. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში გამოწვევები რჩება კანონების აღსრულებისა და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით.

პრობლემური საკითხია ქვეყანაში წარმოებული აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტებში გარემოს დამაზინძურებლების, ფარმაცოლოგიურად აქტიური (კონტამინანტები) ნარჩენებისაგან თავისუფალი სურსათის წარმოება. ქვეყანაში არსებობს დაავადებების ზედამხედველობის ელექტრონული ინტეგრირებული სისტემა (დზეის), რომელიც არ მოიცავს მიკვლევადობის ნაწილს.

ქვეყანაში აკვაკულტურის მიმართულებით კვალიფიციური ვეტერინარებისა და იხტიოპათოლოგების კრიტიკული სიმწირეა, რაც ართულებს დაავადებების დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ამ პრობლემას ემატება ბაზარზე ვეტერინარული პრეპარატების სიმწირე და არასაკმარისი ლაბორატორიული შესაძლებლობების არსებობა, რის გამოც ფერმერებს ნიმუშების კვლევა ხშირად საზღვარგარეთ უწევთ. ეს ზრდის დროისა და ფინანსურ დანახარჯებს, რაც პირდაპირ აისახება ფერმერების საქმიანობასა და პროდუქციის ხარისხზე.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბიზნესების მიერ სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის საკითხები, რაც აუცილებელია საერთაშორისო ბაზარზე ქართული აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის. ქვეყანაში არ ხდება ავტორიზებული გადამამუშავებელი საწარმოების მიერ აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტების, მათ შორის, შემოყვანილი აკვაკულტურის სახეობების გადამამუშავება საერთაშორისო გამოცდილების/პრაქტიკის გათვალისწინებით.

XIV. თევზის, როგორც სასურსათო პროდუქტის მიკვლევადობის საკითხები

დარგში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მკაფიო და სტრუქტურირებული ერთიანი სისტემის არ-არსებობა, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა მონაწილე სტრუქტურის გავლით აკვაკულტურის წარმოების სრულ მიკვლევადობას ფერმიდან სუფრამდე. ფერმერები ხშირად არ აწარმოებენ მიკვლევადობისთვის საჭირო ჩანაწერებს და კარგი ჰიგიენის პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ართულებს წარმოების ეფექტიანობას. ამასთან, განსაკუთრებულ ყურადღებას

ითხოვს თევზის, როგორც სასურსათო პროდუქტის ბაზრობებზე გაყიდვის შემთხვევები, განსაკუთრებით რეგიონებში. მუნიციპალური ბაზრობების ტერიტორიებზე უკონტროლო სიტუაცია ხშირად იწვევს იმას, რომ დაძველებული ან/და არასათანადო შენახვის პირობებში იყიდება საბოლოო პროდუქტი მომხმარებელზე (დანართი 2).

მიკვლევადობის არსებობა აუცილებელია პირველადი წარმოებიდან ყველა ჯაჭვის გავლით მომხმარებლის სახლამდე. მიკვლევადობის სისტემა იხვეწება საქართველოში, ვითარდება შესაბამისი ელექტრონული ბაზები. დღეს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო მიკვლევადობის კონტექსტში ამოწმებს თევზის წარმოშობას, მის მწარმოებელს, ბაზარზე განთავსების გზას, შენახვის სათანადო პირობებს, დაავადებების კონტროლს. ამასთან, გზდ ამოწმებს უკანონო თევზჭერის ფაქტებს და იშვიათად შესაძლოა მოიცავდეს ბაზრებზე თევზის განთავსების შემოწმებას. არსებული მდგომარეობით, მიკვლევადობის ნაწილში პრობლემას წარმოადგენს ჯერ კიდევ დაურეგულირებელი ბიზნეს-ოპერატორების კონტროლის ნაწილი და ეს ხელს უშლის მიკვლევადობის ჯაჭვის სრულყოფას. გარდა ამისა, ბიომრავალფეროვნების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, ბაზარზე გასაყიდად განთავსებული თევზის რესურსი რა მეთოდებით იყო მოპოვებული, მოხდა თუ არა თევზის დაცული სახეობების ან ბრაკონიერული გზით მოპოვებული თევზის ბაზარზე განთავსება - ამისთვის კი მიკვლევადობის სქემა ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს.

3. ძირითადი ნაწილი

3.1. ხედვა იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაწყვეტად

მდგრადი მეთევზეობის განვითარების სახელმწიფო ხედვა 2035 წლისთვის:

საქართველოში თევზის მარაგი შენარჩუნებულია, მეთევზეობის დარგი იმართება მდგრადობის პრინციპებისა და ეკოსისტემური მიდგომების გათვალისწინებით.

საქართველოში მეთევზეობის სექტორი ოპტიმიზებულია, თევზითა და თევზის პროდუქტებით ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და ამავდროულად, შექმნილია პირობები თევზჭერისა და აკვაკულტურის პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის; მეთევზეობის სექტორს შეაქვს წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

საქართველოში მიღწეულია წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და სურსათის უვნებლობა.

საქართველოში მეთევზეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან.

საქართველოს მეთევზეობის მდგრადი განვითარების ხედვა ეხმიანება 2030 წლისთვის მსოფლიოს, და მათ შორის, საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ყოვლისმომცველ მიზნებს: „თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერის და თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა იმისათვის, რომ აღდგეს თევზის მარაგი შესაძლო უმოკლეს ვადაში, სულ მცირე ისეთ დონეზე, რომ შეიქმნას მაქსიმალურად მდგრადი რაოდენობა, როგორც ამის საშუალებას იძლევა

თევზების ბიოლოგიური მახასიათებლები”. წყლის ბიოლოგიური რესურსების დაცვა და აღწარმოება, ასევე მისი მდგრადი მოხმარება ხელს უწყობს მდგრადი თევზჭერის სექტორის განვითარებას, რაც მიმართულია თევზით და თევზის პროდუქტებით ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებასკენ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია შეიქმნას პირობები თევზჭერისა და აკვაკულტურის პროდუქტების საერთაშორისო ბაზარზე გასატანად, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

ზემოხსენებულის მიღწევა მოითხოვს საქართველოს მეთევზეობის დარგის განვითარების **სახელმწიფო მართვის ინტეგრირებული სისტემის** ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს:

- მეთევზეობის დარგობრივ პოლიტიკას;
- მეთევზეობის მართვის ძლიერ ინსტიტუციურ მოწყობას;
- მეთევზეობის დარგის მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზას;
- თევზის რესურსების და მათი ჰაბიტატების მონიტორინგის და თევზჭერის ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებს;
- მეთევზეობაში თევზის რესურსებისა და მოწყვლადი სახეობების აღდგენას;
- წყლის ბიოლოგიური რესურსების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების სისტემას და კრიტერიუმებს;
- წყლის ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების საფუძველზე, თევზის რესურსების გრძელვადიანი და ეფექტიანი მართვის მექანიზმებს;
- ბალანსის დაცვას თევზის რესურსების არსებულ მარაგებსა და თევზსარეწი ფლოტის სიმძლავრეებს შორის;
- ეროვნული თევზსარეწი ფლოტის განახლების და ტექნიკური გადაიარაღების სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას;
- მეთევზეობის სფეროში სამეცნიერო კვლევების და საგანმანათლებლო მიმართულების სახელმწიფო მხარდაჭერას;
- არტიზანული (ტრადიციული) თევზჭერის მხარდაჭერას;
- მეთევზეობის დარგის განვითარებისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას;
- წყლის ცხოველთა ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის სისტემას.

3.2. მდგრადი მეთევზეობის განვითარების პრინციპები

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გზაზე საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იქნება სწორედ მდგრად თევზჭერასა და წყლის ცოცხალი რესურსების შენარჩუნებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ამოცანების გადაწყვეტა, რაც უნდა დაეფუძნოს სექტორის მდგრადი განვითარების ერთიან და ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზებულ პოლიტიკას. წყლის ცოცხალი რესურსების კონსერვაცია და მართვა, თევზჭერა და აკვაკულტურის განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებებია და მნიშვნელოვანია იმართებოდეს ერთიანი პოლიტიკის შესაბამისად. მდგრადი მეთევზეობის განვითარება უნდა დაეფუძნოს პრინციპებს, რომლის მიხედვითაც მეთევზეობა და აკვაკულტურის საქმიანობა იქნება ეკოლოგიურად მდგრადი გრძელვადიან პერსპექტივაში და იმართება ისე, რომ შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვითი გამოწვევებს. საქართველოში მდგრადი მეთევზეობის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **თევზის რესურსების მდგრადობა.** თევზის მარაგების მდგრადობა და საკმარისი თევზის რესურსის შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის.
- **ეკოსისტემური მიდგომა.** ინტეგრირებული მიდგომა მეთევზეობის მიმართ, რომელიც გულისხმობს საქმიანობას ეკოლოგიურად მისაღებ საზღვრებში ჯანსაღი ეკოსისტემის შენარჩუნებით.
- **მტკიცებულებებსა და სამეცნიერო მიდგომებზე დაფუძნებული მართვა.** მონაცემებსა და სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომები მეთევზეობის სახელმწიფო მართვასა და სამეწარმეო საქმიანობაში.
- **პასუხისმგებლიანი მიდგომა.** პასუხისმგებლიანი სახელმწიფო პოლიტიკა და სამეწარმეო საქმიანობა მეთევზეობის დარგში, რათა უზრუნველყოფილი იყოს წყლის ცოცხალი რესურსების ეფექტიანი შენარჩუნება და მართვა.
- **გამჭვირვალობა და ჩართულობა.** სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, დაინტერესებული მხარეების ჩართვით მეთევზეობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და საკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტისას.
- **“ერთიანი ჯანმრთელობის პრინციპი”.** ადამიანების, ცხოველების (მათ შორის თევზების) და ეკოსისტემების ჯანმრთელობის დაბალანსება, იმის აღიარებით, რომ მათი სიცოცხლე და სასიცოცხლო გარემო (მათ შორის, ეკოსისტემები) მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული.

3.3. სამოქმედო პრიორიტეტების განსაზღვრა

ზემოთ აღწერილი პრობლემებისა და გამოწვევების საპასუხოდ, კონცეფციის დოკუმენტში შემოთავაზებულია გადაწყვეტის შემდეგი გზები და სამოქმედო პრიორიტეტები:

პრიორიტეტი 1. ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესება

- საჭიროა, გაძლიერდეს მეთევზეობის მართვის სახელმწიფო ინსტიტუციური მოწყობა ყველა ძირითადი მიმართულებით: პოლიტიკის განსაზღვრა, აღსრულება, ზედამხედველობა, კონტროლი და სამეცნიერო განვითარება.
- საჭიროა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნას მეთევზეობის, როგორც დარგის პოლიტიკის განმსაზღვრელი, ერთეული (დეპარტამენტი ან სამმართველო). მნიშვნელოვანია, მეთევზეობის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა ეფუძნებოდეს ქვეყანაში არსებული თევზის რესურსის მდგრადი გამოყენების, ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის შესახებ რეგულარულ კვლევებსა და შეფასებებს.
- საჭიროა, გაძლიერდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შესაბამისი უწყებები თევზჭერისა და აკვაკულტურის მართვისა და კანონ-აღსრულებისთვის, მათ შორის, შემდეგი მიმართულებებით: მონიტორინგის განხორციელება, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, შენახვა, დამუშავება და ანალიზი; პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება დარგის ეკონომიკური განვითარებისთვის ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თევზჭერისა და აკვაკულტურის გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების პრევენციისა და მინიმინიზაციისათვის; დარგის სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული ხელმძღვანელობა; სამეცნიერო კვლევებისა და

მონიტორინგის შედეგების „თარგმნა“ შესაბამისი პოლიტიკის გადაწყვეტილებების მისაღებად.

- სასურველია, რომ გაძლიერდეს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები IUS თევზჭერის კონტროლის მიმართულებით.

პრიორიტეტი 2. საკანონმდებლო საკითხების მოწესრიგება

- მნიშვნელოვანია, მოწესრიგდეს თევზჭერის რეგულირება სპეციალური დარგობრივი კანონმდებლობით, რომელიც სრულად დაფარავს და მოაწესრიგებს თევზჭერის ყველა სახეობას, მათ შორის, სამრეწველო თევზჭერას, სანაპირო თევზჭერას, სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერას, რეკრეაციულ თევზჭერას, სამეცნიერო-კვლევით თევზჭერას, თევზჭერას დაცული ტერიტორიების ფარგლებში და სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში თევზჭერას.
- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს თევზჭერის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი და აკვაკულტურის შესახებ კანონში აისახოს შესაბამისი ცვლილებები.
- მნიშვნელოვანია, თანჭერილის შესახებ არსებული რეგულირებები გადაიხედოს, რათა ისინი ჰარმონიზებული იყოს საერთაშორისო სტანდარტებსა და საერთაშორისო ანგარიშგების მოთხოვნებთან.

პრიორიტეტი 3. მოსაკრებლების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავება

- საჭიროა, შემუშავდეს მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს როგორც სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების, ასევე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების დადგენის წესსა და მეთოდებს თევზჭერისა და აკვაკულტურის შესაბამისი საქმიანობებისთვის.
- მნიშვნელოვანია, მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრის პრინციპი დაეფუძნოს რესურსების შესახებ საბაზრო ფასებსა და ბიომრავალფეროვნების რესურსების არასაბაზრო ღირებულების შეფასებებს.

პრიორიტეტი 4. ლიცენზირებისა და სანებართვო სისტემის ეფექტიანობის შეფასება

- საჭიროა, 2030 წლამდე ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა და შეფასდეს ლიცენზირების არსებულ სისტემების ეფექტიანობა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით როგორც შავ ზღვაში თევზჭერის, ასევე შიდა წყალსატევებში თევზჭერის მიმართულებით. აღნიშნულმა კვლევამ უნდა შეაფასოს, რამდენად უწყობს ხელს ბუნებათსარგებლობის არსებული მოდელი ქვეყნის გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისთვის დასახული მიზნების მიღწევას და წარმოადგინოს კონკრეტული მექანიზმები ლიცენზირების არსებული სისტემის გაუმჯობესებისთვის.

პრიორიტეტი 5. მარაგების შეფასების კვლევების გაფართოება და მეცნიერულ ცოდნაზე დაფუძნებული სახელმწიფო მართვის გაძლიერება

- მნიშვნელოვანია, 2030 წლამდე ჩატარდეს სიღრმისეული კვლევა მარაგების შეფასებაზე, რითაც შესაძლებელი გახდება, პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგას ქვეყანაში არსებული თევზებისა და წყლის სხვა ბიოლოგიური რესურსების შესახებ აღრიცხვიანობისკენ. მარაგების შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს

სახელმწიფოს მიდგომები როგორც არასარეწაო, ასევე სარეწაო თევზის სახეობების მიმართ და დადგინდეს მათი დაცულობის რეჟიმები.

- მნიშვნელოვანია, მეთევზეობის დარგში სამეცნიერო კვლევების სახელმწიფო დაფინანსება გახდეს მეტად პრიორიტეტული და მდგრადი.
- გაუმჯობესებას საჭიროებს სამეცნიერო ცოდნაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების სისტემის განვითარება ქვეყანაში. საჭიროა, უფრო აქტიურად დაინერგოს ზღვასა და შიდა წყლებში ბიოლოგიური რესურსების კვლევა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, გაძლიერდეს შესაბამისი ადამიანური რესურსები, მოხდეს უწყებების სათანადო ფინანსური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა, მოხდეს შესაბამის საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და მეცნიერებთან თანამშრომლობა.

პრიორიტეტი 6. მონაცემების მოპოვებისა და საინფორმაციო სისტემების მართვის გაძლიერება

- მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს და გაუმჯობესდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და გზდ-ის მიერ ელექტრონული აღრიცხვიანობისა და ინფორმაციის მოპოვების სისტემების განვითარებას.
- მნიშვნელოვანია, შავ ზღვაში თევზჭერის მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მათ შორის ელექტრონული სარეწაო ჟურნალის წარმოების ვალდებულება გავრცელდეს იმ ქართულ გემებზე, რომლებიც ე.წ. 12%-ით სარგებლობას ახორციელებენ. ამის შედეგად სრულად მოხდება შავ ზღვაში სარეწაო თევზჭერის კონტროლი რეალურ დროში.
- მნიშვნელოვანია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება აკვაკულტურის ობიექტების ინსპექტირების კუთხით, როგორც ექსტენსიური აკვაკულტურის, ასევე სატბორე მეურნეობების ინსპექტირების საკითხებზე.
- აკვაკულტურის შესახებ კანონის შესაბამისად, გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლის ხელშეწყობა და ამ მიზნით აკვაკულტურის ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვანია როგორც გზდ-ის, ისე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სხვა დაინტერესებული უწყებებისთვის.
- ქვეყნის დონეზე თევზჭერის შესახებ არსებული მონაცემებისა და სტატისტიკის საჯაროობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემების მოპოვება და წარმოდგენა ხდებოდეს რეგულარულად, დამუშავებად ფორმატში და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა იყოს უზრუნველყოფილი.

პრიორიტეტი 7. სანაპირო, სპორტულ-სამოყვარულო და სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში თევზჭერის მოწესრიგება

- როგორც სანაპირო, ასევე სპორტულ-სამოყვარულო და სხვა საგამონაკლისო შემთხვევებში (მაგალითად, პალიასტომის ტბასა და ნათხარებში) თევზჭერის მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს რეგულირებისა და აღრიცხვის ეფექტიანი მეთოდი, რათა გაუმჯობესდეს ამ მიმართულებით აღრიცხვიანობა და შესაძლო უკანონო თევზჭერის ფაქტების აღკვეთა.

პრიორიტეტი 8. უკანონო თევზჭერის პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება

- გასულ წლებში უკანონო თევზჭერის მზარდი ფაქტები შესაძლოა, ერთი მხრივ, იმაზეც მიუთითებდეს, რომ გაიზარდა შემთხვევების გამოვლენის ფაქტები მაკონტროლებელი უწყებების, მათ შორის, გზდ-ის მხრიდან. თუმცა, უკანონო თევზჭერა და ჭარბჭერა ჯერ კიდევ მიიჩნევა საქართველოში ბიოლოგიური რესურსების (მათ შორის, თევზების) კარგვის ძირითად მიზეზად. ამაზე საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მომავალში გაგრძელდეს და გაუმჯობესდეს უკანონო თევზჭერის აღმკვეთი პრევენციისა და კონტროლის ეფექტიანი მექანიზმები და სამართალდარღვევების გამოვლენის მექანიზმები.

პრიორიტეტი 9. ბიომრავალფეროვნების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

- აუცილებელია სამეცნიერო კვლევების მდგრადი სისტემის შექმნა, რათა სისტემატურად ტარდებოდეს სახეობების კვლევა. კვლევების საფუძველზე უნდა მზადდებოდეს როგორც საკონსერვაციო, ისე სახეობათა აღდგენის გეგმები და მის შესაბამისად განხორციელდეს მონიტორინგი.
- მნიშვნელოვანია, მოხდეს საფრთხის წინაშე მყოფი თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების სახეობების მონიტორინგისა და აღდგენის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.
- მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს ზღვის ძუძუმწოვრების ნაპირზე გამორიყვის სისტემატური კვლევები და მონიტორინგი.
- მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მონიტორინგის შესაძლებლობების გაძლიერება ეროვნულ დონეზე შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების ხარისხობრივი მდგომარეობის ზუსტი შეფასებისათვის სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის და მონაცემების და ინფორმაციის რეგულარულად წარმოება. მონიტორინგი უნდა წარიმართოს ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რათა მოხდეს არსებული ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება, სამიზნე, ანუ კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის განსაზღვრა და სამიზნე მდგომარეობამდე მისაღწევი კონკრეტული ამოცანებისა და აქტივობების დაგეგმვა (NEAP 4).

პრიორიტეტი 10. უცხო ინვაზიური სახეობების მართვის გაუმჯობესება

- მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელებისა და ზეგავლენის შესახებ მონაცემების მოპოვება და ცოდნა, რომელთა საფუძველზეც უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს შესაბამისი სტრატეგია და მართვის ღონისძიებები.
- მნიშვნელოვანია, მოხდეს თევზისა და წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმების არაადგილობრივი სახეობების მონიტორინგისა და ინვაზიურობის რისკების შეფასების საფუძველზე უცხო ინვაზიური სახეობების მართვის სტრატეგიის შემუშავება, უცხო ინვაზიის პრევენცია და გავრცელებული უცხო ინვაზიური სახეობების ზემოქმედებების აღმოფხვრა, კონტროლი და მონიტორინგი.
- მნიშვნელოვანია, აკვაკულტურის (როგორც არაადგილობრივი და უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელების ძირითადი ვექტორის) მიზნებისათვის მოხდეს ახალი არაადგილობრივი სახეობების ინტროდუქციების რეგულაციების შემდგომი გაუმჯობესება უცხო ინვაზიური სახეობების გავრცელების პრევენციის მიზნით.

პრიორიტეტი 11. ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკის მოწესრიგება

- მეთევზეობის დარგის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია, მოხდეს სახელმწიფო მხარდაჭერის შესაძლო მექანიზმების შესწავლა და შემუშავება და ამის საფუძველზე სახელმწიფოს მხარდაჭერის გაუმჯობესება დარგის ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური პრობლემების მოგვარებისთვის.
- მეთევზეობის დარგის ეფექტიანი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს თევზის გადმოსატვირთი ადგილებისა და ნავმისადგომების მოწყობას და შესაბამისად, არსებობდეს შავ ზღვაზე თევზის გადმოსატვირთი ადგილებისა და ნავმისადგომების საკმარისი რაოდენობა.
- აუცილებელია, დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს აკვაკულტურისა და ზღვაზე მარიკულტურის მოწყობის სტანდარტები და რეგლამენტები.
- თევზის დაავადებებზე დროული და სწორი რეაგირების სისტემის არსებობისთვის, მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდეს საქართველოში არსებული ლაბორატორიების შესაძლებლობები ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით.

პრიორიტეტი 12. მეთევზეობის დარგში ცოდნის, განათლების, კვალიფიკაციისა ამაღლების აქტივობების ხელშეწყობა

- მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს ქვეყანაში საჭირო ცოდნისა და ექსპერტიზის მქონე პროფესიონალების განვითარებას და მოზიდვას როგორც სამეცნიერო, ასევე ტექნიკური ცოდნის მიმართულებით თევზჭერისა და აკვაკულტურის სექტორებში.
- ცოდნის ამაღლება საჭიროა უშუალოდ აკვაკულტურის ფერმერებისთვის, რომ თევზის დაავადებათა მართვა ადგილზე ფერმებშივე მოხდეს ეფექტიანად და დიაგნოსტიკის პრობლემები გადაიჭრას.
- მდგრადი მეთევზეობის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების აქტივობები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პრიორიტეტი 13. თევზის დაავადებების მართვის გაუმჯობესება

- აუცილებელია, მოხდეს ქვეყანაში წარმოებული აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტებში გარემოს დამაბინძურებლების, ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (კონტამინანტები) ნარჩენებისაგან თავისუფალი სურსათის წარმოება.
- თევზის დაავადებებთან ბრძოლაში აუცილებელია, თევზსაშენ მეურნეობებში მოხდეს იმ პარამეტრების (წყლის ხარისხი, ჟანგბადის მიწოდება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები) მუდმივი კონტროლი, რაც მნიშვნელოვანია თევზის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის.
- თევზის დაავადებებთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს აკვაკულტურის სექტორში მოღვაწე მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირების ცნობიერების ამაღლების აქტივობებთან ერთად.
- თევზის დაავადებებთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ქვეყანაში ვეტერინარიისა და იქთიოპათოლოგიის განვითარებასა და შესაბამისი ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად.

- მიზანშეწონილია, ქვეყანაში არსებობდეს მიკვლევადობისა და დაავადებების ზედამხედველობის ერთიანი ელექტრონული სისტემა.
- მნიშვნელოვანია, არსებობდეს აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტების პირველადი წარმოებისა და გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც, სულ მცირე, უზრუნველყოფილი იქნება კარგი ჰიგიენისა (GHP) და კარგი წარმოების (GMP) პრაქტიკა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო სისტემის (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირება.
- მნიშვნელოვანია, ხდებოდეს ავტორიზებული გადამამუშავებელი საწარმოების მიერ ქვეყანაში აკვაკულტურისა და თევზჭერის პროდუქტების, მათ შორის შემოყვანილი აკვაკულტურის სახეობების, გადამამუშავება საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.

პრიორიტეტი 14. თევზის, როგორც სასურსათო პროდუქტის მიკვლევადობის ეფექტიანი სისტემის დანერგვა

- საჭიროა ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მონაწილე სტრუქტურის გავლით აკვაკულტურის წარმოების სრულ მიკვლევადობას ფერმიდან სუფრამდე. აღნიშნული სისტემა გააერთიანებს მეურნეობების იდენტიფიკაციის, პირველადი წარმოების, დაავადებების კონტროლისა და წყლის ცოცხალი ცხოველების გადაადგილების მენეჯმენტის ფუნქციებს. ამ ყველაფრის განხორციელება უნდა მოხდეს ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომის ("one health approach") პრინციპების დაცვით, რომელიც აერთიანებს ადამიანის, ცხოველებისა და გარემოს ჯანმრთელობას. ეს პრინციპი უზრუნველყოფს აკვაკულტურის დარგის მდგრად განვითარებას, დაავადებების კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებასა და ეკოსისტემაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.
- აკვაკულტურის ცხოველის ყველა გადაადგილება, რომელზეც იწარმოება ჩანაწერები აკვაკულტურის მწარმოებლის მიერ, წარმოებული უნდა იყოს ისე, რომ წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის მიკვლევა გარანტირებული იყოს.
- მნიშვნელოვანია, მიკვლევადობის ჯაჭვში გაუმჯობესდეს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება იმის დადგენა, თევზის რესურსი რა მეთოდებით იყო მოპოვებული, მოხდა თუ არა თევზის დაცული სახეობების ან ბრაკონიერული გზით მოპოვებული თევზის ბაზარზე განთავსება.
- მნიშვნელოვანია მიკვლევადობა იყოს უზრუნველყოფილი თევზჭერის პროდუქტების ხმელეთზე გადმოტვირთვისა და ხმელეთზე ჩამოტვირთვის ეტაპებზეც.
- მიკვლევადობის სისტემის სრულყოფისთვის, მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს დარგში მოღვაწე ბიზნეს-სუბიექტების დაინტერესებასა და ჩართულობას პროცესში მონაწილეობისთვის.
- მიკვლევადობის სრული ჯაჭვის უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილია, ბიზნეს-ოპერატორის მხრიდან ჩანაწერების სავალდებულო წარმოებასთან ერთად, მოხდეს ციფრული/ქსელური სერვისების გამოყენება, სადაც იარსებებს სურსათის უვნებლობის მოდულიც. აღნიშნული მოდულის არსებობა გაზრდის სახელმწიფო კონტროლის ხარისხსა და ეფექტიანობას, მათ შორის სურსათის უვნებლობის კუთხით.

3.4. ინფორმაცია კონცეფციის განხორციელების, პასუხისმგებელი უწყებების ვალდებულებებისა და სამომავლო ნაბიჯების შესახებ

საქართველოში თევზჭერის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, მისი შესრულების მონიტორინგი, ასევე მეთევზეობის დარგის მართვა და განვითარების ხელშეწყობა განეკუთვნება **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს** მმართველობის სფეროს და ამოცანებს. შესაბამისად, მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მთავარ უწყებას სამინისტრო წარმოადგენს. გარდა ამისა, მეთევზეობის მიმართულებით, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ჩართული არიან სამინისტროს შემდეგი უწყებები:

- სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო
- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

დამატებით, იკვეთება სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების როლიც მეთევზეობის დარგის მიმართულებით. მაგალითად, **სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო** უზრუნველყოფს თავისი მმართველობის ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრად გამოყენებას. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი **სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო** პასუხისმგებელია საქართველოს გემების (მათ შორის თევზსაჭერი) სახელმწიფო რეესტრის წარმოებაზე, დროშის სახელწიფო კონტროლზე, მათ შორის, საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირებაზე, საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგსა და საინფორმაციო სისტემით უზრუნველყოფაზე, ნაოსნობის უსაფრთხოების სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლის უზრუნველყოფაზე, ნავსადგურში გემის (მათ შორის, თევზსაჭერი გემის) შესვლის/გასვლის გაფორმებაზე; ასევე, მეთევზე-მეზღვაურებისათვის სერტიფიკატის გაცემაზე, რეგისტრაციასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებაზე. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ჩართულია არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ მიზნით თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის უწყებებთან. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულებაზე კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს **სსიპ შემოსავლების სამსახური**. შემოსავლების სამსახური, გზდ-თან თანამშრომლობით, აკონტროლებს თევზჭერის პროდუქტების პორტებში შენახვის, გადაზიდვისა და გადმოტვირთვის ყველა შესაბამის პროცედურას.

3.5. ინფორმაცია განხორციელების ვადებთან დაკავშირებით

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განხორციელებს კონცეფციას საქართველოს მთავრობის №629 დადგენილების შესაბამისად პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ (20/12/2019). ამასთან, სამინისტროსთან ერთად, კონცეფციაში წარმოდგენილი რიგი

პრიორიტეტების განხორციელებაში ჩართულნი იქნებიან სხვა შესაბამისი აღმასრულებელი და მაკონტროლებელი უწყებები.

კონცეფცია უნდა გახდეს საფუძველი დარგის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისა, რასაც შემდგომ უნდა მოჰყვეს სფეროს საკანონმდებლო მოწესრიგება.

დასახელება	განხორციელების ვადა	პასუხისმგებელი ორგანო
პოლიტიკის დოკუმენტის (კონცეფციის) მიღება	2025 წლის I კვარტალი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღება	2026 წლის III კვარტალი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება	2027 წლის II კვარტალი	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კონცეფციის მიღების ვადად დადგენილია 2025 წლის I კვარტალი. ამის შემდგომ, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაგეგმილია მუშაობა სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმაზე, რაც უნდა დასრულდეს 2026 წლის III კვარტლის პერიოდში. საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება 2027 წლის II კვარტალში არის მოსალოდნელი. მიღებული კონცეფციისა და შემდგომ სტრატეგიის დამტკიცების საფუძველზე შემუშავებული ახალი კანონმდებლობის (საკანონმდებლო პაკეტის) მომზადების შემდეგ, მნიშვნელოვანი იქნება, განხორციელდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA), რომელიც წარმოადგენს სისტემურ მიდგომას მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შესამუშავებლად და მიზნად ისახავს მოქალაქეთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით შემუშავებული, თვისობრივად უკეთესი ხარისხის რეგულაციების განხორციელების ხელშეწყობას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული მდგრადი მეტეოზეობის განვითარების კონცეფციის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება მოხდება საქართველოს მთავრობის 629-ე დადგენილების შესაბამისად პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ (20/12/2019). მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებში ასახული იქნება ინფორმაცია კონცეფციის მიერ დადგენილი პრიორიტეტების ფარგლებში დასახული აქტივობების შესრულების შესახებ და ამავე დროს, წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია კონცეფციის განხორციელების შესაძლო სირთულეებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით.